



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N20 (9271)

20 ივლისი. 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

ცაილიდან
ვაიე
დაჭრობის ჩონჩხები

3

“რა ღირს პაემიღორი?”

6 თვის
ბიუჯეტი
სამტრედიამ
ბაღაჭარბებით
შეასრულა

2

სამტრედიელი ჰაშიანთაძის
საკათილდლო

125 წლის სკოლას
კულტურული კვების
სტატუსი მიენიჭა!

5

2

16 ივლისი,
ღიღის 8 საათი...

8

ბიტლომანი
ექიმი
დისიდენტური
წარსულით

6

ჩონჩხი მთრეგებულია ჩართვებითა

7

მე ქაჩთუდი საქაჩთუედო მინდა
ჰოეც ზოია დაშაყიძის საიუბილეოდ

ლევან გაბუნია

არც საქართველოს, არც რომელიმე სახელმწიფოს, რაგინდ მრავალმილიონიანი უნდა იყოს, დასაყარვი, ადვილად გასამეტებელი ადამიანები არა ჰყავს.

სახელმწიფო და სახელმწიფო მოხელეები, ხელისუფლების მაღალჩინოსნები უნდა იყვნენ გარანტი თითოეული დასაქმებულის, ადამიანის უსაფრთხოებისა, რა თქმა უნდა, შესაბამისი სტრუქტურების ჩართულობით.

16 ივლისი, ორშაბათი, დილის 8 საათი:

იწყება საინფორმაციო პროგრამა და გეგმაცნობენ, რომ ტყიბულში შახტში მორიგი უბედურება მოხდა, შახტის ჩამონგრევას 4 ადამიანი ემსხვერპლა, არიან დაშავებულები.

რომ ერთ-ერთ სოფელში, არხში, სადაც შარშან ბავშვი დაიხრჩო, ამჟამადაც იგივე განმეორდა, არხში, რომელიც, მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, შემორავებული არ იყო, 7 წლის ბავშვი დაიხრჩო.


რომ ლიხუმა (16 ივლისის მონაცემებით) 2 უცნობი გვაში გამორიყა.

რომ თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევამ ახალგაზრდა ქალი იმსხვერპლა.

რომ...
რომ...

რომ ჭითურის მერი და მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელები მათთვის არასასურველი მუსიკის შეკვეთის გამო, რესტორანში ბოლოებით ჩხუბობდნენ... აბსურდულად ვეთანხმებით იმ ად-

16 ივლისი, დილის 8 საათი...



ამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ საინფორმაციო საშუალებების მიერ ნათქვამი ნეგატიური ამბები მთელი კვირის მანძილზე ახდენს უარყოფით გავლენას

ადამიანთა ფსიქოზე, რაც კვირის თუ არა, ერთი დღის მანძილზე მაინც აისახება მის ხასიათზე, განწყობაზე. მაგრამ არის მედლის მეორე მხარეც, საინფორ-

მაციო საშუალებების მისიაც ხომ ისაა და სხვა არაფერი, ხალხს მომხდარი ახალი ამბები აუწყონ მიუკერძოებლად, ობიექტურად, ფაქტების ჩვენებით.

რაკილა ჩემული რიტორიკა არავის სჭირდება, მხოლოდ კითხვებით შემოვიფარგლებით.

ნუთუ არაა დრო, კონკრეტული დასკვნები გაკეთდეს მომხდარი უბედურებებიდან?

როდემდე უნდა გაგრძელდეს შახტებში მალაროელთა დაღუპვის ფაქტები, რა ბედენაა, იმისი განცხადება, რომ გამოიყვანა ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

არ უნდა გამოსწორდეს წინა, იმის წინა ხელისუფალთა უსულგულო დამოკიდებულება საკითხისადმი?

ან დემეროს, ან დაღუპული ბავშვის სულს, ან იმ სოფლის მკვდრთა რა პასუხს ვაძლევთ, ესოდენ საშიში არხი შემოურავავი რომ ყოფილა და თურმე ამიტომ ილუპებოდნენ ბავშვები?

მხოლოდ სტატისტიკური აღრიცხვიანობის წარმოება საკმარისია მსხვერპლით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების შესამცირებლად?

რბილად რომ ვთქვათ, მუნიციპალიტეტის მერი (ჭითურის), მერიისა და საკრებულოს (ჭითურის) მაღალჩინოსნები მეტად თავდაჭერილები ხომ არ უნდა იყვნენ, როგორც თანამდებობის პირები?

თანავეგრძობთ დაღუპულთა ოჯახებს და ვიმედოვნებთ, ევროპისაკენ მხერამბეჭობილები შინაურ საქმეებსაც მიხედავთ.

მართლაცადა, სადა ჰყავს დასაყარვი შეილები საქართველოს?

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების ტრაგიკული დასასრულის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ უწყებებისა და მათი მაღალჩინოსნებისაკენ ხელის გაშვება არ იქნება მართალი. არის კანონი? უნდა დაემორჩილო, ასე რომ, მეტი ყურადღება გვმართებს მძღოლებს, ფეხით მოსიარულეებს საერთოდ საზოგადოებას.

წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვევით, რომ 20 ივლისს, დღით თბილისში სამარშრუტო ტაქსის მძღოლს ჩაეძინა და დაეჯახა კომუნალური სამსახურის თანამშრომელს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

6 თვის ბიუჯეტი სამტრედიამ გადაჭარბებით შეასრულა

6064 ნაწილაკი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტი 101,6 პროცენტით შესრულდა, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები - 97,7 პროცენტით, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები - 100 პროცენტით, სხვა ადგილობრივი შემოსავლების საკუთრებიდან 105,4 პროცენტით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 18 დეკემბრის №44 დადგენილებით და იმ დროისთვის შეადგენდა 11 464 000 ლარს.

ამ 6 თვის განმავლობაში სამჯერ მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტში ცვლილება და საბოლოოდ ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 18 924

100 ლარით. ზრდა გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 ივნისის №136 განკარგულებით რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 4 425 300 ლარის გადმოცემა. ხოლო იგივე ბიუჯეტი 3 034 800 ლარით გაიზარდა 2017 წელს ანგარიშზე დარჩენილი ნაშთით.

რაც შეეხება 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, პრიორიტეტები წელსაც მინიჭებული აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. გეგმით გათვალისწინებული იყო 1 706 000 ლარი. ფაქტობრივად, პროექტები დაფინანსებულია 1 703 200 ლარით.

წლებიდან ბიუჯეტში პრიორიტეტი აქვს მინიჭებული სოციალური პროგრამების განვითარებას. 6 თვის



გეგმით 495 000 ლარი იქნა გათვალისწინებული, ფაქტობრივად ათვისებულია 494 800 ლარი. ამჟამად მიმდინარეობს 2019-2022 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტების გეგმის შე-

დგენა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს უტარდებოდა ტრენინგები საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთე-

ულების ფინანსთა ასოციაციების მიერ. სწავლების თემები: პროგრამული ბიუჯეტი და ბუღალტერია, მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი პროექტების შედგენაში.

სამტრედიის ჯანდაცვის საკითხი

6064 ნაწილაკი

28-30 ივნისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მე-6 საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედა ექიმებმა. შეექმნა კონგრესში 32 ქვეყნიდან მონაწილეობდა 1100 დელეგატი, მათ შორის უმრავლესობა მსოფლიო დონის მეცნიერია.

გაზეთ "სამტრედიის მაგნი" კონგრესის ერთ-ერთ მონაწილეს, შპს "ჯეო პოსპიტალს" სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის პედიატრს, თამარ ლოლაძეს, დაუკავშირდა.

კონგრესში ასევე მონაწილეობდნენ ჩვენი რაიონის, შპს "ჯეო პოსპიტალს-ის" სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრისა და ამბულატორიული ცენტრის ექიმები და ასევე ასოციაციის წევრები: ბელა ბრეგაძე, პედიატრი რუსუდან ჭკუასელი - თერაპევტი, (ქრთევან ახობაძე, ოტორინოლარინგოლოგი, ია ხურცილაძე, ოჯახის ექიმი, რუსუდან წილ-

ოსანი, ოჯახის ექიმი, მარინა ღუნდუა, გომის საექიმო ამბულატორია,

თვალმანის ამბულატორია, კორმადლის საექიმო ამბულატორია, თამარ ელისაშვილი, თერაპევტი - კლინიკა "დენტ პაუსი".

კონგრესის საზეიმო გახსნა შედგა ბათუმის ხელოვნების ცენტრში, სადაც ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ივანე ჩხაიძემ წარმოადგინა საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მიერ 2 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, იყო მისაღებები და წარმატებების სურვილები... ბოლოს ჩატარდა საზეიმო კონცერტი.

29 ივნისს დილიდან დაიწყო დაძაბული და ვეველა ექიმისათვის საინტერესო სამეცნიერო მუშაობა. პარალელურად "შერატონის" ორ დარბაზში, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტები. მათი მოხსენებები იყო მრავალფეროვანი და საინტერესო: პედიატრია, ნეონატოლოგია, თერაპია, კრიტიკული მედიცინა, ინფექციური დაავადე-

ბები, ონკოლოგია, ქირურგია, ალერგოლოგია, ფილტვის ქრონიკული დაავადებები, ტუბერკულოზი, ასთმა...

თამარ ლოლაძე, კონგრესის მონაწილე: "გაგეცანით მთელი მსოფლიოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებულ უახლეს მონაცემებს. მთელი კონგრესის მუშაობა გაუღწიოლი იყო სულიკვეთებით: "ექიმები ექიმებისათვის..." და ჩვენც აქტიურად ვიყავით ჩართულნი კონგრესის მუშაობასა და დისკუსიებში.

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მე-6 საერთაშორისო კონგრესის დახურვას მიეძღვნა 1 ივლისს ჩატარებული გარბენი სლოგანით "ირობინეთ მეტი, ისუნთქეთ მეტი, იცოცხლეთ მეტი".

ჩვენ კი ბათუმიდან წამოვედით დიდი შთაბეჭდილებებითა და შემართებით, რომ მსოფლიო დონის უახლესი ინფორმაცია გამოვიყენოთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩვენი პაციენტების საკეთილდღეოდ".



თბილისი

“რა ღირს პამიდორი?”

მასალაზე გასვლის წინ საუფროდგოლოდ გამაფრთხილებს, უფრო უნდა ვაძველებთა აქტიური წერილობითი, რომელიც თქვენ ახლა უნდა წაგიფრთხილებს. და ეს იმით, რომ სკეპტიციზმი, გარე ვაჭრობის აკრძალვის რომ უკავშირდება, ფურნალისტური გამოცდილების წყალობით, ჩემთვის ისევე სკეპტიციზმად რჩება. გეთანხმებით, ჩემი სკეპტიციზმი რა მოსატანია და ვისაც ვაჯერათ, ვაიარეთ ბატონებო! პირველი ვიწებები, აღფრთოვანებას რომ დაგაფრთხილებ ამ “მოვლენის” აკრძალვისას. აქვე იმეც, და ხაზგასმით, რომ გარე ვაჭრობა უნდა აკრძალვას! უნდა აკრძალვას დაუყოვნებლივ! და ეს არა სხვადასხვა სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, უბრალოდ, პიტიუნი ნორმების დასაცავად.

მოაწესრიგოს მოვაჭრემ ტერიტორია, სადაც უკანონოდ ვაჭრობს და თავად დაშალოს კონსტრუქცია, მოვაჭრეებმა ჩაბარების წინ ხელი მოაწერეს და პირობა დადეს, რომ დაემორჩილებოდნენ კანონით გათვალისწინებულ ნორმას.

უკვე გაცვეთილი, არაერთხელ ნათქვამი და გაგონილი “პრეტენზიები”, რომ სამუშაო ადგილები არ არის, დაასაქმონ და იქ არ დადგებიან, რომ არც მათ მოსწონთ, მაგრამ ლუკმა პურის საშოვნელად სხვაგზა არ აქვთ, კიდევ ერთხელ მოისმინა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. როგორც აღნიშნეს, და სამართლიანადაც, გასაგებია ყველაფერი, მაგრამ უფრო გასაგები და აუცილებელია ის, რომ ჰიგიენის ყველა ნორმის დაუცველობად ქცეული გარე ვაჭრობა დაუყოვნებლად ასაკრძალვას!

ყველი სანაგვესთან სამტრედული გარე ვაჭრობის ქრონიკების ყველაზე “შვირადირებული” გვირგვინია. განსაკუთრებით “შეუპოვარი” სწორედ იმ ცნობილ სანაგვესთან გახლდნენ მოვაჭრეები. მუნიციპალიტეტის მერის, ვალერი ფოცხვერი-



ციხლიდან
გარე
ვაჭრობის
ქრონიკები



რი ნებით შევიდნენ ვაჭრობისთვის მოწესრიგებულ და მისაღებ ადგილებში, აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე. არის ამ ბაზრის ალტერნატივა. მიღწეულია მოლაპარაკებას ბაზრების ადმინისტრაციასთან, რომ გადასახალი მინიმალური იქნება. და იმის გარანტია, რომ მათი მხრიდან პირობა შესრულდება, ჩვენ გვაქვს. თუ გარე მოვაჭრეები კვლავ უშუალებელყოფენ ჩვენს მოთხოვნას, გამოვიყენებთ კანონით მონიჭებულ უფლებას!”

“რა ღირს პამიდორი?” – ეს კითხვა ბაზარში არც არავის უკვირს. უბრალოდ, კითხვის დამსმელი არ მოეწონა ერთ მოვაჭრეს, რომელმაც “თუნისებად” ჩამოუყალიბა მას საუთარი მოსაზრება ლამის ისტორიულად ქცეული ამ მოვლენის მიმართ. საუთარი ფართო დახლის ადგება, გამოსავალი სულაც არ ჰგონია მოვაჭრეს, რომელმაც სახელი და გვარი არ გავიხრია. სხვათა შორის, იმ წუთში არც პომიდვრის ფასი “გამხილა” და არც ის, იხდიდა თუ არა გადასახადს იმ ადგილზე, სადაც იმჟამად იდგა.

10 დღის შემდეგ, ჩაბარებული და ხელმოწერილი უწყების საფუძველზე გარე ვაჭრობის აკრძალვის ისტორიულად ქცეული ფაქტი უნდა დაფიქსირდეს. ამ ვადის გასვლას სულ რამდენიმე დღე აკლია. და კიდევ, იმედა, სწორად გავატარე ამ საგანგებო მასალაში ის კურსი, რაზეც თავიდანვე მიმიითეს. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მოვინდომე!



ღიას, ახალს არაფერს ვამბობ და იმათ ვეთანხმები, ვინც ამ წუთში ჩაილაპარაკა, რომ “ამერიკა აღმოვაჩინე”. ამგვარად საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მინდა იმათ ვასაგონად თუ წასაკითხად, ვერ ისევე ვასულ წელს ამ წერილის ავტორს რომ დააბრალა გარე ვაჭრობის აკრძალვის “აწყობილი” შესაძლებლობის ჩაშლა.

ას დამაფიქრებელი კომენტარიც ამ ადგილზე გაკეთდა: “ერთია, რომ ეს ხალხი აქ ყიდის პროდუქტს და მეორეა, რომ მას ვიდაც ყიდულობს. მედველი რომ არ ჰყავდეს, ბუნებრივია, აქ არ გაყიდნენ. მე მართლა მივირის იმათი, ვინც აქ ყველს ყიდულობს, ალბათ საკუთარ ოჯახებში საჭმელად არ ყიდულობენ, თორემ, როგორ შეიძლება ამ სანაგვესთან ნაყიდი სახლში, ან სხვაგან, ნებისმიერ ადგილზე წაიღო და ჭამო! ამჯერად კიდევ ერთხელ ვაფრთხილებთ ამ ადამიანებს, საკუთარ-



როგორც ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებდა, გარე ვაჭრობის ასაკრძალად ამჯერად დაწვებული აქტივობა სულაც არ უკავშირდება იმ ტელეგადაცემას, სამტრედის აგრარული ბაზრის, მისი მიმდებარე ტერიტორიების, ამასთანავე, კვების ობიექტების სამხარეულოს “შიდა სამხარეულო” საამქაროზე რომ გამოიჭანა. მუნიციპალიტეტის მერი საკუთარ მოადგილესთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, თავად უხსნიდა გარე მოვაჭრეებს, თუ რატომ და როგორ უნდა დაეცვათ ქუჩაში ვაჭრობის ნორმები. გაფრთხილებას, რომელშიც კანონის დაცვით გახლდათ მითითებული, რომ 10 დღის ვადაში უნდა



ტრენინგი აგრომეწარმეობისა და ფერმერების ხელშესაწყობად

ნათია ნაცვლიძე

ივლისის დასაწყისში ჩვენს მუნიციპალიტეტში პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრმა (დირექტორი სილოვან ჩინალაძე) განახორციელა პროექტი “იმერეთის რეგიონში მცირე და საშუალო აგრომეწარმეებისა და ფერმერების განვითარების ხელშეწყობა”. ტრენინგი ჩატარეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრენინგებმა: მერაბ ბარათაშვილმა და თენგიზ ახობაძემ, ეს ტრენინგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობაში ცნობიერების დონის ამაღლებას და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას, მეურნეობაში ბიოკუპუსის წარმოებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, წარმოებული პროდუქტის ექსპორტის მხარდაჭერას, სურსათის უვნებლობის პირობების გაცნობას და DCFTA-ს მიხედვით დაწესებული რეგულაციების გაცნობას. პროექტი არის დაფინანსებული ევროკავშირის მიერ, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერი ინიციატივა, (FASSI-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი “საქართველოს ფერმერთა ასოციაცია”, სამოქალაქო განვითარების სააგენტო, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, ექსპორტის განვითარების ასოციაცია და ასოციაცია “ათინათი”. ტრენინგზე მოწვეულნი იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის 10 ფერმერული ორგანიზაციის და კოოპერატივების წარმომადგენლები. ესენი არიან ქალაქ სამტრედიის, გორმადლის, საჯავახოს თემის სოფელ ჭოგნარის, სოფელ დაფნარის და დაბა კულაშის ფერმერები და კოოპერატივების წევრები (სულ 11 ადამიანი).

“სამტრედიის მაცნემ” ტრენინგის შესახებ კომენტარი სთხოვა პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრის სამტრედიის განყოფილების უფროსს, თენგიზ ახობაძეს: “ტრენინგზე წარმოდგენილმა თემებმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ბიოკუპუსის წარმოების საკითხებით ყველა დაინტერესდა, განსაკუთრებით ღვთისო ჭინჭარაული, რომელიც განლაგდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის “დაფნარი” გამგეობის თავმჯდომარე, ის ეწევა დაფნის დამზადება-დაფასობას და ექსპორტის საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში. ტრენინგზე წარმოდგენილი იქნა თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივ პირობებში საკუთარი რესურსით ხელმისაწვდომი ნედლეულით ბიოკუპუსის წარმოება. სწორედ ამ ტრენინგზე შეიტყო მან, რომ მისი საწარმოს ნარჩენები, კერძოდ, დაფნის ტოტები წარმოადგენს ერთ-ერთ კომპონენტს ბიოკუპუსის დამზადებისათვის. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საწარმოო ნარჩენების უტილიზაცია მისგან გარკვეული ხარჯების გაწევას მოითხოვდა, ბიოკუპუსის შემთხვევაში კი, მას პირიქით, შემოსავალი მოაქვს, ბატონმა ღვთისომ გადაწყვიტა, დაიწყო ამ წარმოების მოწყობა. ერთი კილოგრამი ბიოკუპუსის საბაზრო ღირებულება, დაახლოებით, ორი ლარია. დამსწრეთა უმრავლესობა ასევე განსაკუთრებით დაინტერესდა HACCP-ის ძირითადი მოთხოვნებით, თუ რა პროცედურებია გასაველი და როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას წარმოების პროცესში მათი დაცვა. ბენეფიციარები ასევე დეტალურად გაეცნენ DCFTA-ის მიხედვით დაწესებულ რეგულაციებს,

რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს ქართული პროდუქტის ევროპის ბაზარზე გატანის შესაძლებლობას. ტრენინგს დაესწრნენ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი FASSI-ის პროექტის მენეჯერი ქეთი გოგოჭური და “სიდას” პროექტის მენეჯერი შორენა მეგრელიძე. მათ ტრენინგის მონაწილეებს თავიანთი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაუზიარეს. ამასთან ერთად, საუბარი შეეხებოდა პროექტ FASSI-ის ფარგლებში დაგეგმილ სხვა აქტივობებს, რც ფერმერებს და მცირე მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის გამოიყენონ. ასოციაციის მენეჯერმა ქეთი გოგოჭურმა ტრენინგზე დამსწრეთა შესთავაზა ფერმერთა ასოციაციის წევრობა, რაც მათ გზას გაუხსნის და ერთი წლის მანძილზე შეეძლებათ უფასოდ ისარგებლონ ამ ასოციაციის მომსახურებით და ევროკავშირის დაფინანსებით. სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყო გასვლითი სემინარი დაბა კულაშში, ფერმერ გიორგი პატარაძის და რუსუდან შენგელიას ფერმერულ მეურნეობაში “კულაშის მარწყვი”, სადაც აქვთ მარწყვის პლანტაცია როგორც ღია გრუნტში, ისევე სათბურში, გამოკვეთა მარწყვის ნერგებიც, ეწვეიან როგორც მარწყვის ნაყოფის, ასევე მისი ნერგების რეალიზაციის, გიორგი პატარაძის, ახალგაზრდა ფერმერის თვალდადებული



შრომის შედეგი მოიწონეს და წარმატებები უსურვეს მას. ტრენინგის მონაწილეებს ასევე გადაეცათ სერტიფიკატები. ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოსაგვარებლად ტრენინგების ცენტრმა დახმარებისათვის მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიან ფოცხვერიას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო სამსახურს, საკრებულომ ტრენინგის ჩატარებლად 2 დღით გამოკვეთა საკრებულოს კეთილმოწყობილი სხდომათა დარბაზი, რის გამოც დიდ მაღლობას მოვახსენებთ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.”



მეფუტკრეობის განვითარებისთვის

ნათია ნაცვლიძე

მისია – მეფუტკრეთა მიერ წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდა ინოვაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით. საქმიანობის არეალი: საქართველოს ყველა რეგიონი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. მეფუტკრეობის განვითარების რეგიონალურმა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრმა მეფუტკრეობის და ამ დარგით დაინტერესებული პირების პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება დაიწყო. სამიზნე ჯგუფებში იგულისხმებიან პროფესიონალი მეფუტკრეები და ამ დარგში მომუშავე მოქმედი კომპანიები, მეფუტკრეობის დარგში დაკავებული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მეფუტკრეობის პროდუქტით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა.

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტშიც. საკრებულოს სხდომათა დარბაზში 19 ივლისს შეხვედრაზე მოსულ იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება, მეფუტკრეობის განვითარების შესახებ ინფორმაციები მიეღო. ყურადღება გამახვილდა პროექტის მიზანზე, რაც საქართველოში ხარისხიანი თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის მოცულობისა და ღირებულების ზრდას, საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას გულისხმობს.

პროექტის ამოცანებსა და მოსალოდნელ შედეგებზე “სამტრედიის მაცნეს” პროექტის კოორდინატორი თეონა ფურცხვანიძე ესაუბრა: “სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში საერთაშორისო სერტიფიცირებული მეთოდების დანერგვა და აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხის კონტროლი, საშუალებას მისცემს ლაბორატორიას გასცეს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი. აკრედიტაციის მიღებით შესაძლებელი იქნება თაფლზე ხარისხიანი კონტროლის განხორციელება, რაც არა მხოლოდ დადებითად აისახება შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქციის უსაფრთხოებაზე, არამედ გაზრდის პროდუქციის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე.

მცირე და საშუალო მეფუტკრეთა მიერ ფუტკრის მოყვანისა და ფუტკრის პროდუქციის წარმოების ახალი და ეფექტური მეთოდების დანერგვა, მათი ცოდნისა და შესაძლებ-



ლობების ამაღლება საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგ-სემინარების ჩატარების გზითა და ტექნიკური საგრანტო მხარდაჭერით, გამოიწვევს იმ ადგილობრივ მეფუტკრეთა წილის ზრდას, რომლებიც იყენებენ თანამედროვე მეთოდებს, ასევე, სამომავლოდ განაპირობებს ფერმერების მიერ ხარისხიანი თაფლის წარმოებას და ფუტკრის სხვა პროდუქციის მოცუ-

ლობისა და ღირებულების გაზრდას. ცენტრი წარმართავს მცირე და საშუალო მეფუტკრეების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, იგი ორგანიზებას გაუწევს მეფუტკრეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვებს და ხელს შეუწყობს მათ პოპულარიზაციას.”



125 წლის სკოლას კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა!

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთადერთი საჯარო სკოლას კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს! 2018 წლის 21 ივნისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, შესაბამისი ბრძანებით, სამტრედიის მეთორმეტე საჯარო სკოლას (ყოფილი რეინიგზის მეთორმეტე) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. სკოლა ქალაქის ისტორიულ უბანში, ე.წ. "უდანიების" ტერიტორიაზე მდებარეობს.

ვიდრე ეს ამბავი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის დადებითად გადაწყვეტილია, ამა წლის მარტის დასაწყისში სკოლის დირექტორის მოადგილე ნინო ონიანმა და პედკოლექტივმა ერთობლივი წერილით მიმართეს ნიკოლოზ ანთიძის უწყებას, სადაც ისინი ასაბუთებდნენ თავიანთ მოთხოვნას, თუ რატომ უნდა შეტანილიყო ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ნუსხაში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ამ უბანში აშენდა საცხოვრებელი შენობები და ორკლასიანი სასწავლებელი ფოთი-თბილისის რეინიგზის მშენებლობაზე დაკავებულ მუშათა ოჯახებისთვის. ეს სკოლა სამ ძირითად შენობას მოიცავს, რომელთაგან ორი კორპუსი – აგურით ნაშენი ორსართულიანი და ქვით ნაშენი ორსართულიანი შენობა იმთავითვე გაიმზინდა იყო სასწავლო დაწესებულებად რეინიგზის მეთორმეტე სკოლის სახელით. 1893 წლის პირველ ოქტომბერს დაიწყო ფუნქციონირება ორკლასიანმა სასწავლებელმა. ნინო ონიანი: "ვიდრე სააგენტოდან ჩამოსული ექსპერტები შენობის არქიტექტურულ ფასეულობებს შეისწავლიდნენ და დაადგინდნენ, ჩვენ მცირე ისტორიული ექსკურსი გავაკანთ, ვამბობდით, რომ სკოლის ტერიტორიაზე იყო აგებული პატარა სამლოცველოც, სადაც რელიგიურ- აღმზრდელ-

ობითი გაკვეთილები ტარდებოდა. ეს სამლოცველო, როგორც ჩანს, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდს შეეწირა. სკოლის შენობა 50 წლის რომ გახდა, არსებობს პირველი მოსწავლის ვალერიან კონრეიდის მოგონება, დაცული რესპუბლიკის დამსახურებული გეოგრაფიის პედაგოგის, ზინაიდა გაგუას პირად არქივში. აი, რას წერს იგი: "ერთხელ ბავშვებს მოგვცეს ყვავილები და წაგვიყვანეს რეინიგზის სადგურზე. როცა მატარებელი გაჩერდა, შეხვედრა მოუწვევს მეფის ნიკოლოზ მეორის დედას, რომელსაც ბავშვებმა ყვავილები მიართვეს. იგი მიემგზავრებოდა ბორჯომში დასასვენებლად". საბჭოთა საქართველოს პერიოდში სკოლა ამიერკავკასიის რეინიგზის დაქვემდებარებაში იყო და ა.კ. რეინიგზის სამტრედიის მე-14 საშუალო სკოლა ერქვა. ამ პერიოდში, ყოველ წელიწადს ზაფხულის არდადეგების დროს უტარდებოდა რემონტი, სკოლა სრულად იყო კეთილმოწყობილი ცენტრალური გათბობით, სველი წერტილებით, კლას-კაბინეტები და სპორტული დარბაზი შესაბამისი ინვენტარით და სასწავლო რესურსებით. ისტორიული შენობის კრამიტის სახურავი 2007 წელს შეიცვალა თუნუქის სახურავით, გამოიცვალა კარ-ფანჯარა და შესასვლელი ძირითადი სადარბაზო კარი შეიცვალა თანამედროვე შემინული კარით. ვთვლით, რომ ეს ყოველივე აბსოლუტურად არ ეხამება შენობათა იერსახეს. უმთავრესი პრობლემა კი ის არის, რომ ამ ორ ისტორიულ შენობაში (სკოლა სულ სამი კორპუსისგან შედგება) ფასადები თანდათან ზიანდება, ჩამონგრევის პირასა აივანები. ერთ-ერთი, აგურის შენობის აივნის რიყულები კი, როგორც ერთ-ერთმა რესტავრატორმა გვითხრა, საქართველოში პირველად გამოყენებული რეინა-ბეტონით არის ჩამოსხმული. პირველად ავსტრიაში აუშენებიათ რეინა-ბეტონით შენობები, შემდეგ რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, საქართველოში აღნიშნული მასალით მშენებლობები იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დროს განხორციელდა... დანაშაულია უნიკალური ფილებით მოპირკეთებული იატაკი და ძველთაძველი კაბე მისივე მოაჯირით. ვთვლით, ის სიძველეებიც, რაც ჯერ კიდევ პირვან-



დელი სახით შემოგვრჩა, არ უნდა შეიწიროს სარემონტო სამუშაოებმა, გადაკეთებამ და გამოცვლამ. ასეთი რამ უკვე განხორციელდა ქვით ნაგებ სკოლის ერთ-ერთ კორპუსში, დღესდღეობით ინტერიერი მთლიანად არის შეცვლილი და გადაკეთებული, ეს ფაქტორი კი ხელისშემშლელი აღმოჩნდა სტატუსის მიწიჭების დროს. შენობათა ავთენტური სახით შენარჩუნების მიზნით, ასევე შენობათა რეაბილიტაცია-რესტავრაციისათვის მიემართეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. რეაგირებაზე არ დააყოვნა, სპეციალისტები ადგილზე გაეცნენ ამ ისტორიულ შენობას, გადაიღეს ფოტოები, გააკეთეს ჩანა-

წერები, შეადგინეს ნახაზები, ცენტრალურ არქივში მოიძიეს სკოლის შესახებ საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ყველა დოკუმენტი, როგორც არქიტექტურული ნიუანსები, ისე მამინდელი სკოლის დირექტორის მიერ მთავარმართებელთან გაგზავნილი კორესპონდენციები. მადლობა მინდა მოუხადოთ ბატონ მერს, ვალერიან ფოცხვერიას, რომელიც იმთავითვე ჩავაყენეთ საქმის კურსში და იზრუნა აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის. მადლობა სააგენტოს დროული რეაგირებისათვის და გულისხმიერებისათვის, არ გვიანდა, ეს შენობა ისე გაერემონტდეს, ისტორიული კვალი წაშალოს."

ნინო ონიანს გადაწვეტილი აქვს, სხვა დოკუმენტებიც მოიძიოს, რათა მომავალი თაობისათვის გაეცნოს სკოლის მუხეუმი. მისივე თქმით, რეინიგზის დეპარტამენტში ინახებოდა სკოლის არსებობის დამადასტურებელი საარქივო მასალა-დოკუმენტაცია, თუმცა ნაწილი დაიკარგა გაუყვავებელ ვითარებაში. ხოლო დანარჩენი ნაწილი ცენტრალურ არქივში ინახება, რაც ადასტურებს და ამყარებს სკოლის, როგორც კულტურული ძეგლის სტატუსს. სკოლა რეინიგზის დეპარტამენტმა განათლების სამინისტროს 1996 წელს გადასცა. ამ სკოლამ ქვეყანას ბევრი კვალიფიციური კადრი აღუზარდა.

სწორი გზა უნდა ვიპოვოთ ნაშთი ძველი დიდებისა

საქართველოს ამერიკურში, მთასა და ბარში, სამტრედიის მრავლად თუ არა, რამდენიმე ნანგრევებადქცეული შენობა, იფარქმნილი ვარემო, ე. ი. ამ შენობების კუთვნილი ქსოვი ძველი სანახავე სულაც არაა. დღეის მდგომარეობის თითოეული ნაშთია ძველი დიდებისა. თითოეულში პროფილის მიხედვით დასაქმებულნი იყვნენ ადამიანები, სწავლობდნენ ახალგაზრდები და ა. შ.

სამტრედიის № 28 პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი ქვეყნის მასშტაბით იყო ცნობილი. ბოლო წლებია, აქ ამ ენობა ისეთი ვითარებაა, მტერს რომ ხარხარის ხასიათზე მოიყვანს და მოყვარეს აღაშფოთებს. ანალოგიური ვითარებაა კულაშის ყოფილ ზოგვეტერინარულ ტექნიკუმში. როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან შევიტყვეთ შენობები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ამდენად, მუნიციპალიტეტის მერიას კანონით არა აქვს ლეგიტიმაცია განხორციელოს შენობების დემონტაჟი, ე. ი. დაანგრიონ ან... კარგი და კეთილი, მაგრამ ვინც ამ შენობებს აუვლის თუ ჩაუვლის, ქალაქის, დაბის სტრუქტურა უპატრონო შენობებს რომ ხედავენ, გარდა იმისა, რომ ხელს კონსერვტიული მუნიციპალიტეტის მერიისაკენ გაიმყვრენ და მათ უნათობაში დასდებენ ბრალს, უმიმდროის განცდაც უთუოდ ხომ დაუფიქრებიათ?! სხვა თუ არა, პოლიტიკური ბეცობა მსგავსი გადაწყვეტილება, კანონი, დებულება – სამტრედიის, ვანში, წალკაში, სიღნაღში... არსებული შენობები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყოს და მასზე, მის ფლობაზე ნებართვა იმ მუნიციპალიტეტების მესვეურთ არ ჰქონდეთ, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი არიან განთავსებული. სამტრედიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ როცა მუნიციპალიტეტში სპორტულ სკოლას ათეული წლის მანძილზე ერთი შენობა არა აქვს, ნუთუ არ შეიძლება, სპორტული სკოლა ყოფილ №28-ე პროფესიული სასწავლებლის შენობაში განთავსებულიყო?! მხერა მომავალს მივაპყროთ, გემოდღვრავს დიდი ილია, ასე რომ, თუ დღეს არაა საჭირო ეს შენობები, სამომავლოდ ხომ შეიძლება გახდეს მოთხოვნა?! ერთი სიტყვით, მსგავსი საკითხებზე უფრო სიღრმისეულად უნდა დაფიქრდნენ, როგორც მუნიციპალიტეტთა მესვეურნი, ასევე კანონმდებლები. სხვა რომ არაფერი, ნანგრევებად ქცეული შენობების ხილვა მომავლის იმედს უკარგავს, უპერსპექტივობის განცდას ამკვიდრებს ხალხის ცნობიერებაში. ჩვენს მახლობლად უპატრონოდ მიგდებული შენობაა, ზაფხულის ხვატში იქედან მღრნელები შემოდინ მოსახლეობაში, გავივით, შენობასა და იქ შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელი ეკონომიკის სამინისტროაო. – ჩიოდა ამას წინათ რედაქციაში შეწუხებული მოქალაქე?! ?!

ისევ ილია: "სწორე გზის პოვნა და მასზე სულა ნახევრად გამარჯვება". სწორე გზას კი პოვნა უნდა, ჰოდა ვიპოვოთ, თუ უკვე გვიან არაა.

საინტერესო შენაძენი

რამდენიმე თვის წინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციის თაოსნობით ჩემი 80 წლის იუბილე აღნიშნეს. ყველას ვუხდი გულითად მადლობას. ამ ზემის მოწოდებისათვის... იყო საჩუქრებიც, თანაც ისეთები, რომელთა აუცილებელი საჭიროება არსებობს მუხეუმი და დიდი შენაძენიცაა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვამჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა საკრებულოს სახელით გადმოცა "საქართველოს ისტორიის ატლასი". (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის მეორე შევსებული და გადამამუშავებული გამოცემა); ბატონმა ჯონი ნადირაძემ საჩუქრად გადმოცა (იცის ჩემი დაინტერესება ამ წიგნების კოლექციის შეგროვებით) 1. შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" აკაკი შანიძის, ალექსანდრე ბარამიძის რედაქციის ტექსტის მიხედვით გამოცემული. 2. ვასილ ჩაჩანიძის "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელები მსოფლიოს ხალხთა ენებზე". ბიზნესმენი მერაბ თევზაძე სოფელ გომიდან, რომელმაც დააფინანსა ჩვენი მუხეუმის ჟურნალის "სამტრედიის მატანეს" მე-2 ნომრის გამოცემა, კვლავ ხელდამშვენებული მობრძანდა მუხეუმში და საჩუქრად გადმოცა "დიდი ენციკლოპედია" ნაწილი I და ნაწილი – II "ღვინო", ბატონმა ბორია ფოცხვერამშულმა ხბოს ტყავში ჩასმული "შუშანიის წამება" გადმოცა, რომელიც რამდენიმე ენაზეა თარგმნილი და მათ შორის ქართულად 2 შრიფტითაა დაბეჭდილი. წიგნი უნიკალურია გამოცემის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა ყველა ეს წიგნი მუხეუმში დაივანებს. ვიმედოვნებთ, ამ პირთა მაგალითზე სხვებიც შეეცდებიან მუხეუმს შესწირონ რაიმე ექსპონატები და მოხდნენ მუხეუმში განთავსებულ ქველმოქმედი ჩამონათვალში.



მე ქართული საქართველო მინდა

მითხვან ჩვენი

პოეტ ზოია ვამაყაძის საიუბილეოდ

იმ სახლში, სადაც ქართული სიტყვა ყოველთვის ზეობს, სადაც ყველაფერს წარსულის დიდებული ნიშნად დამხმევია, ქალბატონ ზოია ვამაყაძის შემოქმედების თავყანისმცემლები შეიკრიბნენ. პოეზიის მსახურებაში მარგალიტის მივიდა ასხმული წლების მადლობა უთხრეს პოეტესას და საქართველოს მწერალთა სახლში 80 წლის იუბილე აღუნიშნეს. თავისი მშობლიური კუთხიდან, სამტრედიიდან, სადაც პოეტის "ყრმობის სიმბოლოები ბოლიანს", სიყვარულით სავსე სურვილები ჩვენც ჩავუტანეთ.

ზოია ვამაყაძეს ჩვენი მეთხველებსთვის წარდგენა არ სჭირდება. თუქცა, უბრალოდ იქნება ვთქვით, რომ იგი დიდ ჯიხაში დაიბადა და გაიზარდა. ობოლმა გოგონამ, ფეხზე "ცვარ-ნამი" რომ ეცვა, გზა თავდაუშოვავი შრომით გაივალა და ღირსეულთა შორის ადგილი დაიმკვიდრა. ქალბატონი ზოია რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, მათ შორის – საბავშვო კრებულების.

"ფერადი წვიმა", "გაზაფხულის მოახლოება", "სიყვარულის სიმადლიდან", "შეწმის ჩრდილებს", "სული ნიჟივეთი მჭროლაია", "ჩემი ჯიხაში", "ხატის წინ ჩურჩულით ნათქვამი", "გაზაფხულის პანგები", "საქართველოს იმედი ხარ" და სხვა პოეტის სულიერ სამყაროში გიწვევს მეზურობას.

საიუბილეოდ მან ლექსების სამი ახალი კრებული: "ნაცრისფერ საღამოზე ფიქრში", "სულში შეფუთული ლექსები" და "მე ქართული საქართველო მინდა" შესთავაზა მეთხველს.

"ყოველი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარევა და არავის შეუძლია, მასში თავისი ბუნება შენდობს". – წერს ერთგან მისი ერთ-ერთი წიგნის რედაქტორი მანანა გორგიშვილი. არც პოეტი ცდილობს თავისი ბუნების შენდობას და იმ ერთგულ სარევიც ისევე და ისევე ქმნის, თავისი ხალხის სიყვარულით შთაინფიცირებული მამულიშვილის ნათელი სილუეტით ირეკლება.

"ლექსების თხზვა ღვთისმსახურებასთან მალე ახლოა"–ო, უთქვამს ანატოლ ფრანსს, ზოია ვამაყაძის თითოეული ლექსიც სანთლებად ჩამოქნილი გულწრფელი აღსარებაა. სამშობლოს მუჟა მუღმივად გულზე უდევს პოეტს და მისი განკურნების იმედით ცოცხლობს.

პოეზიის მადლით ცხებულები ქალბატონი პროფესორი ეკონომისტია. რამდენიმე წელი იმუშავა მან განათლების სისტემაში, არის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი. ხელმძღვანელობდა თბილისის სამგორისა და ნაძალადევის რაიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ნორმალური შემოქმედის სტუდიებს. იგი მწერალთა კავშირისა და მავალა მრეგლიშვილის პრემიების ლაურეატია. 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი მას, კიდევ ერთი, ქართული პოეზიის დედოფლის, ანა კალანდაძის სახელობის პრემია მიენიჭა. ქალბატონი ზოია ქრისტეანული პოეზიის IV ფესტივალზე "წმინდა ნინოს ჯვრის" მთავარი პრიზით, ხოლო VII ფესტივალზე "წმინდა ნინოს ჯვრის" მედალიონით დაჯილდოვდა. მისი რამდენიმე ლექსი კი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შევიდა, ბევრი მათგანი რუსულ ენაზეც ითარგმნა. ზოია ვამაყაძის ლექსებზე არაერთი სიმღერა დაიწერა. "ჩემი ტკბილი სამტრედია" –

ასე ჰქვია ერთ-ერთს, რომელიც კომპოზიტორ ნუგზარ თუშიშვილს ეკუთვნის. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, კახა შენგელიას, ფინანსური დახმარებით შესაძლებელი გახდა, სიმღერა ქართველ მსმენელამდე მისულიყო.

ლექსების წერა ბედისწერაა, – ბრძანა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თემურ ჩალაბაშვილმა. "ამიტომაც არის, რომ ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ზოია ვამაყაძე თავის ლექსებს ჰგავს, ამაყი, სუფთა და ღირსეული ქალია. მეამაყება, რომ ჩვენი თანამედროვე პოეტია, ჩვენი დიდი ოჯახის წევრია". – თქვა მან და სიტყვა გვანცა კობლატაძეს, საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარეს, პროფესორს, ზოია ვამაყაძის წიგნის, "სულში შეფუთული ლექსების" რედაქტორს გადასცა.

"ისე როგორც წინა კრებულში "ხატის წინ ნათქვამი", აქაც, ძირითადად, სარწმუნოების, ქრისტეს სიყვარულით დაწერილი ლექსებია". – აღნიშნა მან. – "ამ ლექსების მიხედვით ქალბატონი ზოია ღრმადმორწმუნე ადამიანად წარმოდგე-

ია ახალგაზრდული. ბატონმა ბადათერმა ისაუბრა პოეტ ზოია ვამაყაძეზე, როგორც შესანიშნავ ადამიანზე, მეგობარზე: "მის ლექსებში ჩანს საქართველოზე შეყვარებული, მოფიქრალი ქალი. იგი წუხს სამშობლოზე, ოჯახზე და ეს არის მისი პოეზიის სიმადლე". ბოლოს მან პოეტის ერთი ლექსიც წაიკითხა: "აქ დავტოვებ გულს, პწკარებში ჩარეულ ვეავილს".

აფხაზეთიდან დევნილი პოეტი მადონა კალანდაძე გულთბილად მიესალმა იუბილარ კოლეგას. ლექსის დაბადება შეიღის დაბადების ტოლფასია. კიდევ გისურვებ მრავალშვილიანობასო, მიმართა და მისთვის საყვარელი ზოია ვამაყაძის ლექსი "დავიწყებულის მხარეში" მხატვრულად წაუკითხა დარბაზში შეკრებილთ.

იუბილარს მიესალმა მხატვარი რეზო ადამია და თავის მიერ შესრულებული მთავარანგელოზის ხატი უსახსურა. თბილი სიტყვები არ დაიშურეს ქალბატონი ზოიასადმი პოეტებმა ივეტა პავლიაშვილმა, შარლოტა კვანტალიანმა, დავით იაკობიძემ. შემოქმედის სიხარული არასოდეს მოგკლებოდესო, უსურვეს.

თანამემამულე პოეტიანდამი კეთილი სიტყვები არც სამტრედიელმა დავითმურთ. მწერალთა სახლში თბილად შეხვდნენ გულიერ გოგონებს, ბაჩუკი ჩაბრაძის, პოეტისა და მთარგმნელის დედას. ქალბატონმა გულიერ ქალბატონ ზოიას თანადგომა გაიხსენა მისი შვილის, ჯერ ისევე დამწვები პოეტის მიმართ და მადლობა ერთხელ კიდევ გადაუხადა მას. განაცხადა: "მადლიან ამაყი ვარ დღეს, რადგან ჩვენი მტრედით ნათული სამტრედიის მეკვიდრის, უნიჭიერისი პოეტის, ზოია ვამაყაძის, საიუბილეო საღამოზე ვიმყოფებით. როდესაც პოეტის ლექსები გამახსოვრდება, იგი შენს სათქმელს ამბობს, მას ახმოვანებს. ეს კი ბევრს ნიშნავს. პოეზია მამინ აღწევს მინას, როცა პირადი სუბიექტური განცდა ზოგადდება. პოეტი ბევრის სათქმელს ამბობს, ანუ საერთო საზოგადოებრივ ტკივილს გამონხტავს. ქალბატონი ზოია დაჯილდოვებულია ღვთისმშობელი ნიჭით, დაულაღავე ენერგიით. იგი გულით განიცდის თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებს. მას თავისი გრძობების მეთხველამდე მიტანის განსაკუთრებული უნარი შესწევს. ეს პოეტის უმთავრესი დი-

რსებაა".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმძღვანელო იუბილარ პოეტს მიესალმა და საჩუქარი გადასცა მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ. მან დიდი ჯიხაშიის სახელითაც მიულოცა აღიარებული შემოქმედს დაბადების დღე. "ქალბატონი ზოია შესანიშნავი ფინანსისტიც არის. მქონდა პატავი, ერთად გვემუშავა,



კოლეგებიც ვიყავით". – დასძინა და მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას, მილოცვა გადასცა. იუბილარისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ქველმოქმედმა ქალბატონმა ცისანა ლეჟავამ. "დიდებული დღეა, ღვთისადმი, სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით აღსავსე პოეტის 80 წელს ვხეიმობთ. მადლობელი ვარ, რომ მისი თანამედროვე ვარ". – თავისი განწყობა გამოხატა პოეტმა ლილი გოგებაშვილმა.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა თავის გამოსვლაში საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ჩატარებული ზოია ვამაყაძის პოეზიის საღამო გაიხსენა. ლექსები შეუქრო პოეტს. ჩემი ძვირფასო, 80 წელი არაფერიაო, დააიშო. თავისი ბიძის, პოეტ ალიო მირცხულავას საიუბილეო საღამოზე თქმული ლექსიც წაიკითხა. იგი არც ერთ ჩემს წიგნში არ შემოიტანია და

ნეკა ბაკურაძემ და ანსამბლ "ინანას" ხელმძღვანელმა მარინა კოლხიდაშვილმა. ასევე: ეკრანიდან გაჟღერდა "ქართული ხმების" მიერ შესრულებული "ჩემო ტკბილო სამტრედია".

ტიდოფინზე ნაჩვენები იქნა სხვადასხვა დროს გამართული პოეტის საიუბილეო სიმღერები, მათ შორის თავის მშობლიურ სკოლაში, დიდ ჯიხაშიში.

იუბილარმა ქალბატონმა ღონისძიების ბოლოს მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით თავისი ერთ-ერთი აქტუალური, პატრიოტიზმით გამსჭვალული ლექსიც "მე ქართული საქართველო მინდა" წაიკითხა.

სიყვარულის განცდით ამაღლებულმა პოეტმა თბილი, მადლიერებით სავსე სიტყვები არ დაიშურა დარბაზში შეკრებილი საზოგადოების მიმართ. მან მადლობა ერთხელ კიდევ გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, თემურ ჩალაბაშვილს და





ჩიხად მიწვებული ქართველობა

თეა ბაგუნიანი

სანამ მომავალი თაობა საკუთარი ერის ჩიხაში "გამოწყობილ" ხასიათს ჩიხად ირგებს, ცივილიზაციის მორევი სათავისოდ გერ ჩაგვიტრევს! და ეს სულაც არ ნიშნავს ცივილიზაციაზე უარის თქმას!

ამ წერილით მოყოლილი ამბავიც ამის დასტურია.

ქართული კულტურისა და თეოლოგიის უკეთესი გასაცნობად გადასაღები ფილმისთვის მონაწილეები განსაკუთრებით შვირჩა. იმ კასტინგზე, ქუთაისში რომ გაიმართა, გამოვლინდნენ ფილმის ის ვიზიტები, ქართველობა კიდევ ერთხელ რომ უნდა "წარუდგინონ" მსოფლიოს. მისმა ავტორმა საკუთარი სათქმელი "გეტოში" უკვე თქვა, ფილმით, რომელმაც საქართველო მოიარა და

ქვეყნის წარსულსა და მომავალზე აწმყოში დაგვაფიქრა. ამჯერად, ნიკოლოზ ხომასურიძისა და მისი გადაღებული ვიდეოს მიერ ფირზე აღბეჭდილი კადრები ქართული ცეკვით, სიმღერითა და ღვინით ვააცნობს მსოფლიოს საქართველოს. იგი მიუხედავად და სახელად "საქართველო" ერთ-ერთი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

მონაწილეები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში შეარჩიეს. სამტრედიიდან ძმებმა, ზაზა და მამუკა ბუაძეებმა მიიღეს კასტინგში მონაწილეობა. ნიჭიერი ხელოვანები იმ 50 ვაჟს შორის მოხვდნენ, საუკეთესოდ რომ სცნო კომპეტენტურმა ფიურში. ვაჟებთან ერთად შერჩეული 15 გოგონა ეროვნული ცეკვის ლაზათის აზარებს მაყურებელს. ფილმში მონაწილეობას პოლიევლდის ვარსკვლავი ვინსენტ პერესი მიიღებს.

ამიტომ მას პრესტიჟულ კინოფესტივალზე წარდგენის პერსპექტივაც აქვს.

ზაზა და მამუკა ანსამბლ "სანავარდოს" წევრები გახლდნენ. სცენაზე პირველი ნაბიჯები ქორეოგრაფების გენადი გრიგოლასა და ალექო ბოზუას დამსახურებაა. ალექო ბოზუა მათი პირველი პედაგოგი გახლდათ და მასზე განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით საუბრობენ ბიჭები. მამუკა დღეს უკვე ყოფილ პედაგოგს, გენადი გრიგოლას ქორეოგრაფის ამბლუში უდგას გვერდით. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი პროფესიონალის წოდებას ღირსეულად აკმაყოფილებს, ზაზა ჯერ ისევ დასაქმების მოლოდინშია. თუმცა, საქართველოში ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ნამდვილი პროფესიონალები ძველად იმკვიდრებენ თავს! ძმების შესაძლებლობებით გაცილებით მეტია, ვიდრე მათ მშობლიურ ქალაქში, ქვეყანაში

იყენებენ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ორი წელი "ერისიონის" მოცეკვავეები გახლდნენ. მშობლიურ სამტრედიის დაბრუნებისას საკუთარი ძალების მოსინჯვა იმერეთის სახელმწიფო ანსამბლში გადაწყვიტეს, სადაც უარი უთხრეს. ალბათ ამიტომაც, ზაზას-ასმელია, რომ იმ კასტინგზე, სადაც ზაზა და მამუკა დიდი ოვაციებით შეარჩიეს, ამ სახელმწიფო ანსამბლის ყველა წევრი დაიწუნეს! ესეც ბედის ირონია, სამაგიეროდ, სუფთა ქართული მოვლენა! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილმისთვის შესარჩევ ჩვენებზე ბევრი ცნობილი და გავლენიანი მოცეკვავის ახლობელი მონაწილეობდა. ამიტომ ძმები მონაწილეობის მიღებისგან თავს იკავებდნენ. გავლენების მიუხედავად, ბიჭების პლასტიკა და მონაცემები აშკარად გაცილებით მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებდა, იმდენად მაღალს, რომ მათზე გვერდის ავლა წარმოუდგენელი აღმოჩნდა. ამ კასტინგის ირგვლივ მათ ინფორმაცია მერის კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა ეკა კვაჭიშვილმა და ქორეოგრაფმა ქრისტინე ზაქარაძემ მიაწოდეს.

ზაზა და მამუკა ბუაძეები თავიანთი შემოქმედებით სამტრედიის ფარგლებს კარგა ხანია გასცდნენ. ისინი რამდენიმე თურქულ ანსამბლში

ქართულ ფოლკლორს წარმოადგენენ. "ოვაციებს შეჩვეულ ქართულ ცეკვას არც ამ თურქული ანსამბლების ემბლემის ქვეშ აკლავს მაყურებელი ძირითადად თურქები და რუსები გვყავს, მათი ტაში დაუსრულებელია კონცერტებზე." – ყვება ზაზა ბუაძე.

ძმებმა გერმანულ "ნიჭიერშიც" მიიღეს მონაწილეობა, სადაც გარევეულ წარმატებას მიაღწიეს.

საყვარელი ცეკვა? ალბათ აჭარული და... და "ფარეკობა", რითაც კასტინგზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს. ძმების მიერ დადგმული ეს ცეკვა მათეული გზებითა და ექსტაზით, პლასტიკით, მონარობებითა და ემოციით გაჯერებული ალტაცებაში არაერთგზის მოიყვანს მაყურებელს, რადგან სცენას, პროფესიულ სცენა, კვლავ ბევრჯერ დაამშვენებენ ძმები ზაზა და მამუკა ბუაძეები, რომელთათვისაც ჩიხა ქართველობის სიმბოლო და სულიერების ნაწილია. ჩიხასა და სტიქარში გაზრდილი ქართველი ყველაზე უკეთ ითავისებს ქართველობის ფუნქციასა და პასუხისმგებლობას. ამიტომ, ზედმეტიცაა აღვნიშნოთ, თუ რას ნიშნავს ზაზა და მამუკა ბუაძეებისთვის ქართველობის ლაზათი!



თანთავმდომარეს, მაყვალა გონაშვილს, საიუბილეოდ მისი კრებული რომ გამოცემეს. განსაკუთრებით მოეფერა პოეტ ნაზი ქობალიას, ქველმოქმედ ქალბატონს, მისი ერთ-ერთი ახალი წიგნის "შე ქართული საქართველო მინდა" გამომცემელს და რედაქტორს, ქალბატონ ცისანა ლეჟავასა და ბიზნესმენ გელა ლეჟავას, მუდმივად რომ უდგანან გვერდით, ნუგზარ თუშიშვილს, კახა შენგელიას, ბიზნესმენ ნატალია კვანტალიანს, წიგნის "სულში შეფუთული ლექსების" დაფინანსებისთვის. სამტრედიელს, ყველას, საღამოზე რომ ეწვივნენ და მისი სიხარული გაიზიარეს.

"საით მივდივართ? ვინ ვართ? რანი ვართ?" – ესაა პოეტის მარადიული კითხვა, და, ალბათ, ტკივილიც. თუმცა ზოია ვაშაკიძის სევდანარე ლექსებშიც კი მზის ბევრი სხივია, "ცაზე ლაყვარდის ლურჯ ვარდებს რომ ხატავენ".



ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს!

აღწერა თეა: "წამყვანი სიხარულის ღელე"

ასეც ხდება, ხშირად ხდება, ჩემო კარგო, "დამშრალია სიხარულის ღელე", დრო წაშლის და გადაფურცლავს იმ ტკივილებს, გული შევბით აივსება მერე. მივარის შუქზე პოეზიის ბილიყებით ამოქარავ სიტყვებს ფერად-ფერებს, სიხარულის ღელე ისევ აზვირთდება, გადმოლახავს ლიხის მთებს და სერებს,

გაგვასარებს შენი ხილვა ძველ მამულში, იხივებს სიხარულის ღელეც, მოგონებს სკოლაში გულით შემონახულს, გადმოგიფენთ მონატრების მერე. გაიხარე! მამის დარგულ ვაზის ძირთან ამოსული ია-ვარდი მოჰყვინა ველებს.

ნათელა ბაგუნიანი

ბიტლომანი ექიმი დისიდენტური წარსულით

ნამიბიის ნაცისტური მემორიალი

ამ გვარ-სახელს სამტრედიაში პატივისცემითა და სიყვარულით წარმოსთქვამენ, თამაზ სპირანტი სამტრედიაში მოღვაწე ერთადერთი ნეიროქირურგია. ის ამჟამად მუშაობს კლინიკაში “მედი-ჰელფი” და სტომატოლოგიურ კლინიკაში “დენტ-ჰაუსი”, არის ოფიციალური კონსულტანტი ჩოხატაურის ჰოსპიტალში “მაქსიმოლი” და სენაკის შპს “პოლიკლინიკა – სტაციონარის გაერთიანებაში”. ჩვენი რესპონდენტი კარგი მოსაუბრეც არის. ბატონი თამაზი “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში საკუთარი, საინტერესო ბიოგრაფიის დეტალებს გაიხსენებს.

– ჩემმა მშობლებმა რუსულ სკოლაში შემოვიყვანეს, დედა, ქსენია ბაშელიძე-ვილი კინოთეატრში მუშაობდა, მამა, ორესტი ინჟინერ-ტექნოლოგი იყო, ქალაქში რეინგების სახით პურის ცხობის ხარისხს აკონტროლებდა, სკოლის მე-7-8-9 კლასებში ცოტა გამანაწვევს პედაგოგებმა, ვინც ემზადებოდა, იმათ წინა პლანზე აყენებდნენ, მე კი მაქსიმუმს მოხვდნენ და შეიძლება, არაფრის გამო, დაეწუნებინათ ჩემი პასუხი. ამიტომ ჩემით დავეუფლე უმაღლეს მათემატიკას, ეს მასალა უმაღლესი სასწავლებლის პირველ და მეორე კურსზე ისწავლებოდა. თავადვე მოვიძიე ლიტერატურა და თავადვე შევისწავლე, საგანი ძალიან მიყვარდა, მეორე ჩემს თანაკლასელებსაც კი ვამზადებდი, ჩემს სახლში დიდ მაგიდაზე მეწყო წიგნები და გარს ვუხსდით მეგობრები. თბილისის ქუჩაზე დავიბადე და გავიზარდე.

– თქვენი გვარის შესახებ გვიამბოთ...

– გვარი ბერძნულია, სიტყვა “სპიროს” – ბერძნულად სულს ნიშნავს.

– ექიმობა ბავშვობიდანვე განუსაზღვრეთ თქვენს თავს მომავალ პროფესიად?

– თავიდანვე ჩემი ოცნება ფიზიკოსობა იყო, მინდოდა მეცნიერებას გავყოლოდი. როგორც ვთქვი, უმაღლეს მათემატიკას ისე კარგად დავეუფლე, ჩემი მონაცემები გადაუგზავნე ლომონოსოვის უნივერსიტეტს და მაცნობეს, რომ ამ უნივერსიტეტის მოსამზადებელი ფაკულტეტის მსმენელად ჩამრიცხეს, თანაც, კარგი წიგნები გამომიგზავნეს საჩუქრად. თამაშები და აზარტი არ მიზიდავდა, ჩემი ძირითადი საქმიანობა იყო კითხვა და მეცადინეობა.

– სამტრედიელებს ჰიპური ჩაცმულობითაც ახსოვხართ...

– “ბითლზით” ვიყავი გატაცებული, გვაქვს ფოტო, სადაც მე, ვალერი ჩხვიძის და ვია ბოჭორიძის გვაცვია შლაქისი და ჩაცმულობით “ბითლზებს” ვემსგავსებოდა. სკოლა ოქროს მედალზე დავამთარე და 1966 წელს მოსკოვში ჩავივიდი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ბირთვული ფიზიკის ფაკულტეტზე ვაბარებდი. ჩემთან ერთად მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან: ვორონეჟიდან, ბრიანსკიდან. ლექტორი გასაუბრების დროს შეკითხვას რომ დამისვამდა, სწრაფადვე ვპასუხობდი, ეს ახალგაზრდები ხან ჩემს ჩაცმულობას უყურებდნენ, გრძელ თმასა და პალსტუხს, ხანაც, ლექტორს. მეორე გამოცდელმა მითხრა: ძალიან ბევრთად პასუხობთ, საიდან იცით საქართველოში ამდენი რამეო და თანაც მირჩია, ასეთი ჩაცმულობა არ გინდათ, თმები შეიჭერთო. იმ ლექტორს მაშინვე ვუპასუხე: “თქვენ თუ ცოდნას აფასებთ, შეაფასეთ, ჩაცმულობას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. ფრთხილად იყავი, ნამეტანი ჯიუტი ხარო, მიიხრეს. მოსკოვში, ახლობლის ოჯახში ვიმყოფებოდი, ეს ამბავი სახლში რომ

მოვეყვი, იქაც იგივე მიიხრეს, საწყალმა დედაჩემმა ძალიან ინერვიულა. გავბრაზდი იმათზე და წამოვედი მოსკოვიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუთები ფიზიკის ფაკულტეტზე შევიტანე. მინდოდა ბირთვული ფიზიკა შემეწავლა. იმ წლებში თბილისის



სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ილია ვეკუა იყო. ჩემს კურსზე სწავლობდა დიდი ნიკო მუსხელიშვილის შვილიშვილი ოლეგა მუსხელიშვილი. რუსულ სექტორზე ჩავირიცხე. აქაც შევეჩვიე პროტეკციონიზმს და გული მეტკინა, მაინცდამაინც არც სწავლის დონემ დამაყმა-აყოფილა. დავწერე განცხადება და წამოვედი. ოჯახში ეჭვის თვალთ მიყურებდნენ: ეს ვერ არის კარგად... დიდამ მიიხრა: რად გინდა შვილო, ეს მეცნიერება, ჩვენთვის მაინც ვერ მოიცვალდი, მოდი, სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარე და ავადმყოფს თუ ვერ მოაზრენ, ისეთ წამალი გამოიწერე, რომ არ ავნოს, ფულს კი მოგცემენო... ამ სიტყვის ხსენებას ვერ ვიტანდი, არასოდეს მიყვარდა “ქლესა”, გამორჩენაზე მოფიქრალი ადამიანები.

გადავწყვიტე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება, ამ დროს ინსტიტუტის რექტორი პეტრე გელბახიანი იყო. ფიზიკის გამოცდიდან მახსოვს, ძალიან სწრაფად გამოვედი, სანამ გამოვდიოდი, უკანა მერხზე მჯდომმა გოგონამ დახმარება მიხვია, ვუთხარი, რომ თავს არ მივაბრუნებდი, ისე ვუპასუხებდი. ასე დავეხმარე და გამოვედი. ცუკას მდივნების და ცნობილი ხალხის შევიკე აბარებდნენ, გამოსულს უცნობი დიპიანი კაცი შემეფეთა და აგდებით მეუბნება: ვინ ხარ ბიჭო შენ? რა ქენი, შენ რა ჩააბარეო? ჩემი ნაწილის შემფასებელ კომისიაში აღმოჩნდა უნივერსიტეტიდან მიწვეული პროფესორი, რომელსაც უოქვამს, ეს ბიჭი ჩვენთან იყო, კარგად ჩააბარა, მაგრამ წამოვიდაო. – ეტყობა, სხვის მაგივრად აბარებს გამოცდას, ხომ არ აფერისტობს, დავეჭიროთო, უოქვამს გელბახიანს, საბედნიეროდ, გაირკვა, რომ არაფერს ვატყუებდი და ჩამრიცხეს. ჩარიცხულ სტუდენტთა სიებს რომ ვნახულობდი, მოულოდნელად აღმოვაჩინე, ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებს, ორ ჩემ ნაცნობ ახალგაზრდას, სოსო სეფი-აშვილსა და გურამ ფიფიანს სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაუბარებიათ, მათი

ნახვა ძალიან გამიხარდა. – სტუდენტობას როგორ იხსენებთ? – პარტისტორიისა და მეცნიერული კომუნისმის ლექტორებთან დიდი კმათი და კონფლიქტი მქონდა, ლექციებს, რა თქმა უნდა, ვესწრებოდი, მაგრამ ვე-



უბნებოდი, რომ მათი იდეოლოგია დამლუპველია. იმხანად გენერალური პროკურორი იყო გვარად ტაკიძე, რომლის ქალიშვილი კითხულობდა ლექციებს “მე-



სათნო ქალბატონი კეთილი მისით

ღვაწლმოსილ ექიმს, ქალბატონ ქეთევან პაპავასა და მის ოჯახს კარგად იცნობენ სამტრედიაში.

ამას წინათ, ქალბატონი ქეთევანი მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ ლამარა ღუნდუას დაუკავშირდა და აუწყა, რომ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცემდა სხვადასხვა ჟანრისა და ავტორის მეტად საჭირო წიგნებს.

17 ივლისს კეთილ ჩანაფიქრს ხორცი შეესხა და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას 100-ზე მეტი წიგნი გადაეცა.

ჩემი კოლეგებისა და მკითხველთა სახელით მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ქეთევან პაპავას. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” ბიბლიოთეკის დირექტორმა.

ვიმედოვნებ, ახალი წიგნები კეთილ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს, განსაკუთრებით აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს.

ლევან პაპავა

ცნიერულ კომუნისმში”, ბიბლიოთეკაში ჩემთვის რაღაცას ვაკონსპექტებდი, რომ შემოიყვანა ახალგაზრდები და მიიხრეს, დამეტოვებინა ოთახი, მე არ დავთანხმდი, მომიბრუნდნენ და მეუბნებოდნენ: იცი, ვის შეიღოს ელაპარაკებო? ჩემი საყთხი კომისიაზე გაიტანეს განსახილველად. იმხანად რექტორი იყო ოთარ ლუღუშაური. მობუნტარის გაგდებაზე მიდგა საქმე, ამ პერიოდში ჩემს ტვინში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, დაფიქრდი და ჩემს თავს ვუთხარი: “ვის ეჭვიდავები?” უკან დავიხიე, წავედი მცირე კომპრომისზე და შერიგება მოხდა. გაიგეს, რომ ძლიერი სტუდენტი ვიყავი, მოვიდა ეს პროკურორის ქალიშვილი და მიიხრა: ნიჭიერი ბრძანდები და ვითანამშრომლოთო. ხასიათი შევიცვალე.

– ოჯახის შექმნა და კარიერული წინსვლა ერთმანეთს როგორ შეუწყვეტ?

– ოჯახი ცოტა მოგვიანებით, 36 წლისამ შევექმენი. ინსტიტუტი რომ დავემთავრე, ზოგად ქირურგად მესხეთ-ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში გამანაწილეს, იქიდან ძაღვ წამოვედი, და სამეგროლოში, ხობში 3-4 წელი ვიმუშავე. 1982 წლიდან კი ქუთაისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში ვიმუშავე ნეიროქირურგად. ვიდრე ქუთაისში დავიწყებდი მუშაობას, მანამდე, დედაქალაქში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გავიარე სპეციალიზაცია ნევროლოგიაში. შემდეგ კი მოსკოვში, ბურდენოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში, აკადემიკოს კონოვალოვთან გავიარე სპეციალიზაცია. 1982-დან 2011 წლამდე დავავა ვიქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში, შემდეგ, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიის ცენტრში. მქონდა მცირე კონფლიქტები კოლეგებთან, ჩემი პრინციპი, აი, რა არის: “მინდა ავადმყოფისთვის გაკეთდეს საქმე, არ მიყვარს მადალფარდოვანი სიტყვები, თუ არ ვიცი, ვეკითხები ჩემზე



ჯკვიანს და არასოდეს ვამტკიცებ, რომ მე ყოველთვის მართალი ვარ, არ შეიძლება, ერთი ადამიანის ჭკუაზე მთელმა სამყარომ იაროს! ასეთია ცხოვრების დი-ალექტა: დამარცხდა პიტლერი, სტალინი და ყველა დიქტატორი! ყოველთვის უბრალოებს ვეძებდი და არა ბრილიანტებს. არასდროს მიმეგობრია ფულიანი მამიკოების შვილებთან. 1982 წელს საბერძნეთში მამიდა გარდამეცვალა და მამიკების წილი ქონება მილიონებს ითვლიდა. შეილო, წადიო, მიიხრა მამამ, არ წავედი და ეს ქონება ჩემმა მამიდაშვილმა დაიმკვიდრა. ჩემი მთავარი სიმდიდრე ის არის, გაჭირვებულს რომ ვეხმარები. ის რომ კარგად არის, ეს მანიჭებს სიხარულს. არ მიყვარს ორპირობა! ერთი რომელი იმპერატორის ნათქვამი მომწონს ძალიან: “რასაც ვგრძნობ, იმას ვლაპარაკობ!” რუსთაველიც ხომ ამბობს “სიცრუე და ორპირობა აუნებს ხორცსა, მერმედ – სულსა”.

– ოჯახის თემას დავუბრუნდები: მე და ჩემი მეუღლე, ხათუნა მინაშვილი გაცნობიდან ერთ წელიწადში შევეუღლდით, გვყავს შვილები: გაგა და თაზო. გაგა სამტრედიიაშია, საკრედიტო დაწესებულებაში მუშაობს, თაზო კი დედაქალაქში ცხოვრობს, ერთ-ერთი სასტუმროს მენეჯერია, გაგას ყავს შვილები ანასტასია და ლუკა, თაზოს კი ჰყავს გაგა.

– თქვენი დატვირთული დღის განრიგი როგორია?

– ყოველდღიურად გარკვეულ დროს აუცილებლად გამოვინახავ ხოლმე “სამეცადინოდ”. თუმცა, მეხერხება კალატროზობაც, ჩემი სახლის ქვედა სართული თავადვე ვავლესე, არც ფიზიკურ შრომასთან ვარ მყვარად, მაქვს ბალჩა, სადაც მომავს ბოსტნეული, ვერ ვიტან უსაქმრობას.



“პროზნული მოძრაობის ისტორია სამტრედიოში”

“სამართავლოს სიყვარულით ყველაფერს გავაკეთებთ-თქო, პუტინსარი ზვიად გამსახურდიას”

ნათია ნაცვლიძე

სერგო ბურჯაძე ამჟამად გამწვანება-კეთილმოწყობის გაერთიანების მეთვლე-ბრძოლად მუშაობს. ამ ქალაქში თუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ საკუთარი ქვეყნის სიყვარულისათვის ბევრი გადაუტანია, ერთი მათგანი ბატონი სერგოც არის. ერთგული მოძრაობის აღმავლობის, შინააშლილობის, ძმთა დაპირისპირების თუ კანონიერი ხელისუფლების დამსობის წლებში ის თავისი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და დგას დღესაც. ამიტომ ვასახსენებელი და სასაუბრო ძალიერ ბევრი აქვს.

– ეროვნულ მოძრაობაში ზვიად ძიძგურთან ერთად ჩავები, ახლა რომ ეკლესიაა, იმ ადგილას დაიწყო პირველი შიმშილობის აქცია, რომელიც დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციის პარალელურად გაიმართა. პირველი საპროტესტო აქციების ტალღა რომ აგორდა, შიმშილობის აქციების დროს გაეიციან ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავა და სხვა ლიდერები, სიხარულით ცას ვეწიე, ამ ადამიანებს რომ ხელი ჩამოვართვი. ამ პერიოდში კულტურის სახლში ვიდეოხალისის ადმინისტრატორად ვმუშაობდი. აქვე იყო მსახიობი რადი შენგელია, ჩვენ თბილისში მიმდინარე აქციებზე ვისაუბრეთ, მერე იმავე დამეს შევევრებეთ კულტურის სახლის სამხატვრო ოთახში, სადაც მუშაობდა ბრწყინვალე პიროვნება, ეროვნულ მოღვაწეთა დიდი მხარდამჭერი ლევა კორნბუმი. იქვე იყო მსახიობი გივი ახობაძე. იმ საღამოსვე ჩემი მანქანით ჩამოვიარეთ და გაგაფრთხილეთ ყოფილ ხის დამმუშავებელ კომბინატში, კულამის საქსოვ ფაბრიკაში და კულამის კინოში დასაქმებული ადამიანები, რომ ემართავდით საპროტესტო აქციას და სოლიდარობას ვუცხადებდით დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციებს. დილით აქციის დაწყებამდე აგვიყვანეს მე და რადი უშიშროების თანამშრომლებმა, უშიშროების უფროსი იყო ა. განჯელაშვილი. გაგაფრთხილეს, ახლა წახვალთ და დამლით მიტინგსო, დაჭერით რომ არ დაგვიჭერდნენ, ამაში დარწმუნებული ვიყავი, სამსახურიდან დათხოვნით დამემუქრა უშიშროება. იმ დღესვე გამოვიგვიგეს, გზად დაგვხვდნენ სულიერადი შევილი და სოსო შუბლაძე, გადაგვევიყენეს, გვითხრეს, ბიჭებო, პატრიოტები ყოფილხართ და ბრძოლა ერთად გაგვგრძელოთ. მე განვერიდე მიტინგს, სამსახურში გამოვეცხადე, რადი არ მოშორებია მიტინგს, ბოლომდე აქციაში მონაწილეობდა. მერე დაიწყო შიმშილობა ყოფილი კულტურის პარკის ტერიტორიაზე, მოშიშნულეთა ორი ჯგუფი იჯდა ზვიად ძიძგურისა და გია სტურუას ხელმძღვანელობით. ზვიადი და გია გაერთიანდნენ და დაიწყო და დაიწყო... იმ დღიდან მოყოლებული, დღემდე ყველანი ერთმანეთის გვერდით ვდგავართ. ყველას უკვირს, როგორ არ დავიშალეთ და დღემდე ვინარჩუნებთ საუკეთესო ურთიერთობას. მას მოჰყვა რეინიგზის აქცია ზვიად ძიძგურის მეთაურობით, რასაც პირველი მრავალპარტიული არჩევნები მოჰყვა. ამ აქციის დაწყების დღიდან ამ ჩემი თანამომხმეების რიგებიდან არ გავესუვარ.

– შეიძლება ითქვას, სამტრედიო ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრად იქცა, სამტრედიოში ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ცხინვალის რაიონის სოფლების პატრულირებაშიც, სამტრედიის ოცდაერთზე ბატალიონის წევრები სოხუმის დასაცავადაც გისმეს...

– დიას, ცხინვალის ქართულ სოფლებში ზემო და ქვემო ნიქოზში წავედით პოლიციელებთან ერთად, ჩვენთან ერთად

თად იყვნენ რადი შენგელია, გია სტურუა, ზურაბ გერაძე, გია მესხი, საწყალი თამაზ ლომსაძე, ბუჟან დარსაველიძე, ლერი მანაგაძე და სხვები, იქ 15 დღით ვპატრულირებდით და მერე ერთმანეთს ვენაცვლებოდით, სამჯერ მომიწია წასვლა. როგორც კი სამტრედიოში 24-ე ბატალიონი დაარსდა, პირველი დღეებიდან მისი წევრი ვარ, ვიყავი გურიამერეთის პოლკის სამტრედიის 24-ე ბატალიონის ოცეულის უფროსი, ლეიტენანტის წოდებით. ბატალიონს სათავეში სულიერადი იდგა, სულიერადი ხონში წამებით მოგვეილეს სამოქალაქო ომის დროს “შენგელირინის” დაჯგუფების წევრებმა. აფხაზეთის ომის გადამწყვეტ და მძიმე დღეებში სამოქალაქო ომის ორმობრივად იყო. სოსო ჟღერტის გადაწყვეტილებით, ბატალიონიდან გაგვიყვანეს ტამიშის ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად: გია სტურუა, რადი შენგელია, ზურაბ გერაძე, რამაზ ჯინჯვალეიშვილი, იქ დაგვეუქა კირილე რევიშვილი, მერაბ ბუჟაძე უგზო-უგზოდ დაგვეკარგა, მსხილაძე და ორ ადამიანს ვერ ვიხსენებ. ოთხ საათზე გაგვიყვანეს, საღამოს ათ საათამდე დამაბული ბრძოლები იყო, საღამოს ათის ნახევარზე კირილე რევიშვილი დაგვეკარგა და გამოვიყვანე. შორი ვნა გვეკონდა გასაუფლო, ათი წუთი უზნაქვდა მხოლოდ, კირილე, მე ვარ სერგო-თქო, ჩავიბახე, გაეღმა და თვალი დახუჭა... დედამისმა საუკეთესო შვილი დაკარგა, ნიჭიერი ახალგაზრდა ფინანსისტი, კაპიტანი. ნუკრი ტორონჯაძის მეგობარი იყო და მან მოიყვანა ჩვენთან. კირილეს საოცარი დედა ჰყავდა, მეუბნებოდა, მე შენზე ვლოცულობო... ჩემთან ერთად იყვნენ ორი ხობელი, სამი ზუგდიდელი და ორი ქუთაისელი. მანქანით ოჩამჩირეში ჩავიყვანეთ გარდაცვლილი და მასთან ერთად ორი მხედრიონელი. ისინი დაუტოვეთ ოჩამჩირეში, ზუგდიდის ქალაქის საავადმყოფოში კი წამოვიყვანეთ კირილე, აქედან მივედით ჩვენს საბრძოლო შტაბში ზუგდიდში, სადაც შემხვდა ზვიად ძიძგური. კირილეს ამბავი რომ ვუამბე, ძალიან განიცადა, მერე ჩავიხსენებ ანაკლიაში, დაუკავშირდით ბატალიონის უფროსს სულიერადი იდგას და ვაცნობეთ. მერე ალფაიძემ და მისმა ბიჭებმა გარდაცვლილი სამტრედიოში ჩამოვიყვანეს. გამოვეშვიდილე ზვიადს და დავებურუნდი ჩემს ბიჭებს ტამიშში პოზიციებზე. გაეანადგურეთ მტერი, ის წარმატებული ოპერაცია იყო, მაგრამ ამით დაგვიმთავრდა აფხაზეთის ომი, შევარდნაქმ ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას...

– ამის მერე გააქტიურდა ზვიადისტების ღეგნა?

– სწორედ მოიცალეს ჩვენზე სანადიროდ, შევარდნაქმ შემოვიყვანა საქართველოში ფოთიდან რუსის ჯარი გენერალ ბალტინის ხელმძღვანელობით, იმდენი ტანჯი იყო, თითო ტანჯი თითო კაცს დაგვედგა. ჩვენ ვყოფილართ სამშობლოს გამყიდველები. აფხაზეთიდან უკან დახევით ჩამოვედით ზუგდიდში. მერე იქიდან სამტრედიოში. აბაშიდან დაიწყო ჩვენი შევიწროება, სად გავექცეოდით? რადი შენგელია, გია სტურუა და შმაგი სიხარულიე გაიყვანა რადი სვანეთში თავის ცოლოვთან, მე და ჯონი ნადირაძე მოვხვდით სვანეთში, სოფელ ლახამულაში ჯონის ახლობელ ოჯახში, სადაც დაგვავით ერთი თვე. ეს ის პერიოდაა, როცა სამხრულად ავიწროვებენ ზვიადისტურ ძალებს. ერთი თვის შემდეგ წამოვედი. ოჯახის თამა მის ნათესავს, სხვათა შორის, მხედრიონელს გამომაყოლა, მე მარანში ჩამოვედი, ახლობელთან. იქ გვითხრეს გეტებენო, ჯონი დარჩა სვანეთში. პირველ მისში მყავს ახლობელი, მივედი ბაცუვი დუნდუას სახლში, სამი დღე იქ დავიყავი, ის სამტრედიოში ჩემს ახლობლებს დაუკავშირდა, მერე ჩემი ძმა ჯუმბერ ბურჯაძე ჩემი ცოლოვრის მეზობელს, ყოფილ მხედრიონელს, ვაჟა დრიაევს დაუკავშირდა, მისი დახმარებით მოხვდი სოფელ სავაჯახოში, სადაც მოვეძებნე ბავშვობის მეგობარი, ჩემი გოგონას ნათლია. იქ დავიხსენებ

“ზვიადისტების” საქმეებს იძიებდა. მან იცოდა, რომ ტყველად ვიყავით დაჭერბილები, მაგრამ რას იზამდა? იმ სტრუქტურაშიც იყვნენ ღირსეული ადამიანები, ჩემი ოჯახის წევრებს ჩემთან კონტაქტი ქონდათ, ხელი არ მოვაწერე არც ერთ დოკუმენტს. ბრალდებაში თავი დამნაშავედ არასოდეს მიცვნი. ორი თვის შემდეგ გადმომიყვანეს ქუთაისის ციხეში, ერთი კვირის მერე მეძახიან გამოდიო, შევედი ოთახში და ვხედავ ადვოკატ ლალი თადუმაძეს, ჩემებს ის ჩემს დამცველად აუყვანიათ, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. სამოცდახუთი წლის კაცი ვარ და ასეთი პიროვნება არ შემხვედრია, ლალიმ უდიდესი დახმარება გამიწია. მას ჩემთვის ციხეში “ბლინებიც” ჰქონდა მოტანილი, მაგრამ თურმე არ შემოატანინა ბაღრაძე, მოწამილული არ იყო. ადამიანებს პოლიტიკური მიმდინარეობით არ განვასხვავებ, ლალის ძმა, ავთო ნამდვილად კარგი პიროვნებაა, ამ ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. ლალიმ დამამიძა, რომ ის დაიცავდა ჩემს უფლებებს. მალე დაინიშნა სასამართლო ლალის ძალისხმევით, პროკურორი შესანიშნავი პიროვნება, ჯემალ შენგელია იყო, მოსამართლე – ხაჭალია. მიუხედავად იმისა, ჯემალ შენგელია სახელმწიფო ბრალდების მხარეს წარმოადგინდა, ჩემს მიმართ ადამიანური პოზიცია გამოაჩინა. მომისაჯეს 4 წელიწად-ნახევარი, სასჯელის სამი წელი უკვე მოხდილი მქონდა და ძალიან ძალიან გამოვიდი. სამი წელი და ორი თვე დავიყავი პატიმრობაში, მერე შემიშო შევარდნაძის შეწყველების აქტი, ვინაიდან ასეთი და ქრონიკული ბრონქიტი მქონდა.



– საბუთები რატომ არ გქონდათ?

– 1993 წელს, როცა “მხედრიონი” საცხოვრებელ სახლში თავს დამესხა, მართვის მოწმობით დაწყებული, ყველა

საბუთი წაიღეს. პატარა ბავშვები დაფრთხნენ, უფროსი გოგო მეშვიდე კლასში იყო, უმცროსი სკოლაში არ იყო, ღამის 4 საათზე ნიღბიანები შემოცვივდნენ, მათ ახლდა ერთი სამხრულად ნაცემი პიროვნება და მომთხოვეს იარაღი. ამ პიროვნების ვინაობას შეგნებულად არ გაგამხელ, რადგან ის უმძიმეს მღერომარეობაში მოიყვანეს ჩემთან ნაცემი და აგრძელებდნენ მის შეურაცხყოფას, რის გამოც კიდევ მეტად გავნერვიულდი. იარაღი გადავეცი ამ ნიღბიანებს, რომელთა ვინაობა ვერ გავარკვეე

– ცხინვალის გამოსვლის მერე როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

– გამოსვლის მერე ცოტა ხანი ვიმუშავე კულტურის სახლში, ყოფილი პოლიტპარტიმარი ყველამ ძალიან თბილად მიმიღო, ძველი თანამშრომლები დამხვდნენ. შემდეგ კერძო სამუშაოებზე გადავედი, ძველ შენობებს ვანგრევდით, მას შემდეგ კომუნალურ გაერთიანებში ვმუშაობ, ღმერთმა ნუ ქნას ომი, თორემ დღესაც ავიღებ იარაღს საქართველოს უკეთესი მომავლის დასაცავად!

– ვეფლავი საუკეთესო დღედ რომელს მიიჩნევთ?

– ასეთად შეიძლება ჩაითვალოს განდევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრა 1993 წელს, სოფელ აბაშაში. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიტინგი გაიმართა, დევნილ პრეზიდენტს სამტრედიო ბიჭები ვიცავდით. ყველასთან მოვიდა, ხელი ჩამოვავართვა, როგორი შემართებით ხართ ბიჭებო? გვკითხა. საქართველოს სიყვარულით ყველაფერს გაგვკეთებთ-თქო ვუთხარი, სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნება მისი ტრაგედიით დასრულდა. ქობულთში ვიყავი დევნილობაში, როცა ტელევიზიით ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ გამოაცხადეს, მასოსვს, ბევრი ვიტყვით, ამ ვერსიის დღემდე არ მჯერა და არ დავიჯერებ, რომ მორწმუნე კაცი თავს მოიკლავდა.

მადალ პროფესიონალიზმს პასუხისმგებლობაც მადალი ახლავს

არიან ქვეყნად ადამიანები, რომლებიც უპრეტენზიოდ, უანგაროდ ემსახურებიან (ხალხის საერთო კეთილდღეობის საქმეს, ისინი არ ხმაურობენ, არ ქედმაღლობენ, მხოლოდ შრომობენ კეთილსინდისიერად. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ნიკოლოზ ჯვარშიაშვილი, რომელმაც 40 წელი მკლავმოუღებულად იმუშავა რეინიგზის ტრანსპორტზე. “საქართველოს რეინიგზის” ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მოღვაწეობის გაცნობა, ვინც დღემდე მოიყვანა რეინიგზა თავისი ნოვატორული იდეებითა და თავდაუზოგავი შრომით. ბატონი ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ ჩემი მოვალეობაა რეინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გამტარუნარიანობის ამაღლების მიზნით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და გატარება. დღეს მატარებელთა მოძრაობა უზრუნველყოფილია უახლესი მეთოდოლოგიით შემუშავებული სარეინიგზო ავტომანქანისა და ტელმექანიკის სისტემით. მას ადგილებზე სადღეღამისო რეჟიმში ექსპლუატაციას უწევს სამტრედიის ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ტექნიკური პერსონალი. საპატიო სახელის მოპოვება ცხოვრების რომელ უბანს ან რომელ პროფესიასაც უნდა ეხებოდეს იგი, დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე, არჩეული სპეციალობისადმი სიყვარულზე. ეს კარგად ესმის ბატონ ნიკოლოზს.

მან 1972 წელს დამთავარა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ განაწილეს თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში. პარალელურად სწავლობდა რეინიგზის ტექნიკურ სასწავლებლებში, საიდანაც ანაწილებდნენ სადგურ სამტრედიოში უფროს ელექტრომექანიკოსად. იგი აქ დღესაც აგრძელებს მკლავმოუღებულ შრომას. მის მოვალეობაში შედის სადგურ სამტრედიო-ის რეინიგზის ისრების, შექნიშვნების, აპარატურების, სააუქციონო-ლო დანადგარების შეუფერხებელი მუშაობა. ბატონი ნიკოლოზი მრავალი რაციონალიზატორის წინააღმდეგ ავტორია. მათგან მნიშვნელოვანია რელსზე კონტაქტების დუბლირება, რის გამოც რელსს მუშაობა გაიზარდა რამდენიმე წლით. ამისთვის მას მიენიჭა “დამსახურებული რაციონალიზატორის” წოდება და გადაეცა ფულადი ჯილდო.

უფროსი თავისი საქმე ბატონ ნიკოლოზს და ბევრ ახალგაზრდასაც შეაყვარა იგი. მის გვერდით შრომობენ წარჩინებული მექანიკოსები: ოლეგ გულიაშვილი, დავით ქაჯავა, თეიმურაზ ხურცილავა, თეიმურ კორძაძე, გიორგი გაგუა და სხვები რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

რამს გავიხსენებ

დღემდე მათობს ეს მოგონებები

მამიკაძე ჭაბუკიძე

ბედმა არაფერია, ლეკვნი და ქვეყლიყო. ჩვენ კი აზგარი ლეკვნი და ქვეყლიყო ადამიანების ცხოვრების ყველა წერილობითი გვიანტერესებს. გვიყვარს და გვიპატივებს ისინი. ამიტომაც, როცა ქალბატონმა ანა თხილაძემ ერთი მანჯგალაძის დისშვილის, რეზო ბალაგაძის, სამტრედიის სტუმრობის შესახებ მოგაწოდა ინფორმაცია, მასთან შეხვედრის შესაძლებლობა გამოვიყენეთ და ჩვენს მკითხველს დიდი მსახიობის შესახებ მის ნაამბობს მოვუყვებოთ.

რეზო ბალაგაძე ბატონი ერთის ერთადერთი დის, ქალბატონი ბელა, შვილია. იგი პროფესიით ფიზიკოსია და ქლების განმავლობაში ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში იტალიურად გახდა, საქართველო დაეტოვებინა. რამდენიმე წელი რუსეთში იცხოვრა. მამის გარდაცვალების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. ამჟამად თბილისში თვითონ იმ სახლში ცხოვრობს, რომელიც ერთის გეგმითაა და მისადმი მოგონებებითაა გაჯერებული. ბატონ რეზოს ორი ვაჟი ჰყავს, ბაბუის მოსახლეობა არაკლი და ერთი, რომელიც თავისი ღირსეული წინაპრის სახელს ატარებს.

ბატონ რეზოს დღემდე სტავია მისიყვარული ბიძა და მასზე მოგონებები ნოსტალგიით ავსებს. გვიყვება მისთვის დამახასიათებელი თვისებებზე, მასთან ყოფნის სიხარულზე, დარღვევებზე, რასაც სამამულო ომში დაკარგული თავისი ძმის, მწიკის რეზოს გამო ატარებდა. თუ როგორ ეძებდა მას სხვადასხვა ქვეყანაში საგასტროლოდ ჩასული, მაგრამ ამასოდ. როგორ იყრიდა მისი მემკვიდრეები და როგორ უნაწილებდა ყველას სიყვარულს.

უყვარს ბატონ რეზოს ღანირი, თავისი სოფელი და სურვილი აქვს, კერა ისევ გააცოცხლოს.

– დავიბადე და გავიზარე თბილისში. ბებია ცოცხალი რომ იყო, ყოველ ზაფხულს ღანირში ჩამოვდივდი, კარგ დროს ვატარებდი.

– როგორც ვიცი, ღანირში ერთი მანჯგალაძის სახლი გაიყვანა.


– იმ ენობი ძალიან დიდი სახლი იდგა. კომუნისტები შექმნიდნენ ბაბუაჩემს, ხან რა შესთავაზეს და ხან რა. გაბრაზებულმა ბაბუამ სახლი დაანგრია და მის ადგილზე შედარებით პატარა ააშენა. ერთხელაც, ბებია ხიდან ჩამოვარდა და წელსქვემოთ პარალიზებული დარჩა. ამის გამო მან აღარ მოინდომა ამ სახლში დარჩენა, ნათესავს აწუქა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. მერე იმ ნათესავმა გაიყვანა იგი.

– ერთი მანჯგალაძის დისშვილია, რა განცდაა?

– ჩემი ბარათია, დღესაც ყველა კმდღეს ხეივანს. რა საქმე უნდა იყოს, ხელმეწიფა არ მქონდეს. დივიდენდი დამიტოვა ბიძაჩემმა, მარტო მე არა, მთელ ნათესავებს.

– როცა ასეთი ბიძა გვაკვდა, სურვილი არ გავჩენიათ, მსახიობი გამხდარიყო? არასდროს ურჩევია მას თქვენთვის, ამ პროფესიას გაჰყოლოდით?

– არა, არ ურჩევია. როცა ინსტიტუტში ვაბარებდი (მამინ ჩაწვობა იყო ყველგან), მკითხა, მისაღებ გამოცდებზე დახმარება ხომ არ გინდაო. როცა უარი ვუთხარი, შენ გენაცვალეო, თქვა. ოღონდ თავისიანის გამო არ ეთხოვა ვინმესთვის რამე და... ეუხერხებოდა. ამ დროს, ნებისმიერ ქუჩაში გამეღვალს რომ ეთხოვა, დაეხმარებოდა. ერთი ასეთი მომენტი იყო, თეატრში ქალის ფეხსაცმე-



ერთი მანჯგალაძე დისშვილებთან, თამარისა და რეზოსთან ერთად.

ლები მოიტანეს. დედაჩემს ცალფხად უთხრა ბიძაჩემმა, მიდი ბელა და აარჩიეო. დედაჩემმა არ მინდაო, თქვა და შენ გენაცვალეო, უთხრა. ძალიან მორიდებული ადამიანი იყო, მაგრამ დიდი გული ჰქონდა სიყვარულისთვის. დაუფასა ხალხმა. ვინმემ რომ მკითხოს, რით განსხვავდება საქართველო სხვა ქვეყნებისგან, იმით, რომ უდიდესი სიყვარულია ჩვენთან. აი, როგორც შაქარი, ხომ არის ტკბილი, წინააღმდეგობა შაქარი ყოფილა და წინააღმდეგობისთვისაც გამძლეა, მაგრამ ნამეტანი სიყვარულია და სიყვარულისგან გამძლეა. ახლა ქვეყანა ცოტა არეულია, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, დალაგდება.

– როგორ იყო დიდი ერთი სცენის მიღმა, ნიღბის გარეშე სახლში, თავისიანებში?

– ტრადიცია გვქონდა, ყოველ კვირა დღეს დილით 10 საათზე ერთი ჩვენთან მოდიოდა. დედაჩემი მისთვის ხაჭაპურს აცხობდა. ხანდახან ეუხებოდა, ძალიან ბევრ ყველს უჭებდა ბელაო და ყველს გამოვრბოდა. წყალს მასწვრებს, არ შეიძლება, რეჟიმში უნდა ვიყო.

– იცოდა საყვებურის თქმა, ან გაბრაზებული თუ გინახავთ?

– არა, რას ამბობთ. თუ რამე სათქმელი ჰქონდა, გეტყვოდა, მაგრამ ისე, რომ მივახერხებოდა. გაბრაზება არ შეეძლო, მაგრამ გამოვია, რამდენიმე, თითქმის ჩამოსთვეული კაცს მის გვერდით გავლა აკრძალული ჰქონდა. რამდენად სწორია, ვერ გეტყვით. რომ იძახიან და ლევა უყვარდაო, სისულელეა, უყვარდა ქეთი კარგ ხალხთან. მამიდამისი მუდღე იყო კარლო რამიშვილი, დიდებული კაცი, მასთან შეხვედრა ერთისთვის იყო დიდი ზეიმი იყო. როცა კარლო ეტყოდა, ერთი მოდი ჩემთან, სუფრა მაქვსო, თუ რაღაც გამოუვალი მდგომარეობა არ ჰქონდა, არ შეიძლებოდა, არ მისულეო. ბევრი ასეთი სუფრა და მათი სიმღერა მასსოვს. ასეთ სიტუაციაში ვარ გამზრდილი და დღესაც მათობს ეს მოგონებები.

– ღანირში რომ ჩამოვიდოდა, ეს ხომ განსაკუთრებული ცერემონია იყო! ჩემი დის დაბადების დღე 3 აგვისტოსაა და იმ დროს ყოველთვის აქ, ღანირში ვიყავით. გზისკენ გვეჭირა თვალი, ველოდებოდით, რომ ჩამოვიდოდა. აუცილებლად ჩამოვიყვანდა ვინმე თავის მეგობარს, ჩამოიტანდა ხორავს და მთელ ღამეს ვათეხებდით ხოლმე. ძალიან დიდი ბედ-

ნიერება იყო.

პატარა რომ ვიყავი, ჩემს დაბადების დღეზე მოვიდა და ხელში დიდი შეფუთული რაღაც ეჭირა. გვერდით ჩამიარა, თვალი გავაყოლე, იმ შეფუთულიდან ოქროსფერი ბურთი გადმოვადლო. ბურთზე ვკვირდებოდი მამინ... დღემდე სასიამოვნოა ამის გახსენება.

– ცუდად არ ჩამომართვათ და ჩემი მესიერებიდან არ იშლება, როცა გერმანიაში, აი, იმ საბედისწერო გასტროლებიდან, უკან დაბრუნებულს მე და მამაჩემი დავხვდით. ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო, როცა დავინახე, ალბათ, 20 წელი ჰქონდა მომავლეს, დაბრუნებული ჩამოვიდა.

– თავის ტკივილზე, პრობლემებზე საუბრობდა ოჯახის წევრებთან?

– არასდროს, ვერაფერს ვერაფერს ვთქვებოდა.

– თქვენ რამდენად გაქვთ კულტურული ინფორმაცია იმ ახე, რაც მამინ მოხდა?

– რა ვიცი, თეატრში ყოველთვის არის ინტრიგები... ჩვენს გვერდით ადამიანებს ცუდად ვეცხვით და ვერ ვხვდებით. ესეც რომ ვთქვი, ახლა ცოცხალი რომ იყოს, ეწვიე-

ბოდა. უბრალოდ იმიტომ გავიხსენე, რომ წარმოუდგენელი იყო, რამდენიმე დღეში როგორ შეიცვალა კაცი.

– დიდი სიხარული განიცადა, როცა თქვენმა რაიონმა იუბილე გაუკეთა. თვითონაც ამბობდა, აკაკი ხომ არ ვარო. რაღაც განუმეორებელი შეხვედრა მოუწვეს.

– თქვენ აზრით, რა იყო მისი, როგორც ადამიანისა და მსახიობის ხიბლი?

– პირველ რიგში, თუ ფიზიკურ პარამეტრებზე ვისაუბრებთ, ხმა, ტემპრი ჰქონდა ისეთი, გულის ნაწილი მოჰქონდა. გრძობს ადამიანი ამას და იმიტომაც უყვარდათ. მის გასვენებაში სვანეთიდანაც კი იყო ხალხი ჩამოსული. ფიზიკურად, ალბათ, არც ვიყვარებოდა ნანახი, ხმის გამო ჰქონდათ მისი სიყვარული. მერე კიდევ ადამიანები ვართ, სიყვარულს ვყვლა გრძობს. ღმერთმა ასეთი ბედი არაფერს, სიყვარულს სხვებისთვის გაქვინაირებინა.

– ნამადადევში ვცხოვრობდი. იქ ისეთი ბიჭები იყვნენ, სულ ქუჩაში რომ იდგნენ და ჩხუბობდნენ. ვერიდებოდით მათთან კონტაქტს, რადგან დაუნდობლები იყვნენ. ერთი რომ გამოსვნივს, მამინ ზუსტად ასეთი კატეგორიის ბიჭებმა შეკრეს წრე მის ორგვლე და ბოლომდე ისე ჩამოიყვანეს. ყველა კატეგორიის ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა, ნაღდი იყო, რა! ვის არ უნდა ასეთი იყოს. ვცდილობ, მაგრამ მე არ გამომდის. მძიმე ვარ და ამას ალბათ, ჩემი, ფიზიკის პროფესიაც განაპირობებს. ადამიანისთვის ამგვარი ურთიერთობები ძალიან დიდი კაბიტალია. ბიძაჩემს ყველგან ჰყავდა მეგობარი. ისეთ ხალხს ეხმარებოდა, ისეთ საქმეებს აკეთებდა, ბევრი არც ვიცი.

– გინახავთ როდეს როგორ ამხადებდა?

– ძალიან შრომისმოყვარე იყო. რუსული კარგად რომ ესწავლა, სახელმძღვანელოებით ჰქონდა თაროები საყვ. სულ მეცადინებოდა, თავის თავზე ძალიან ბევრს მუშაობდა, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, დაუპატიჟებიათ (სურფრასთან ხომ ყოველთვის ეპატიჟებოდნენ), მაგრამ უთქვამს, სპექტაკლი მაქვს და ვერ წამოვალ. სუფრის გამო რეჟიმისა არ ამოვარდებოდა, უდიდესი პროფესიონალი იყო.

ერთხელ, როცა “გვადი ბიგვას” ტელეკონსია გააკეთეს, დედაჩემმა დამიყ-



– ნა, წადი ბიძაშენთან და ერთად ნახეთო. ზარი რომ დაგრეკე, რა გინდა? მკითხა. ხო, კარგი, დაჯექი და ხმა არ ამოიღო, მითხრა. როგორ განიცდიდა, როცა უყურებდა. მეც მორიდებული ადამიანი ვარ და დედაჩემს ვუსაყვედურე, რატომ გამიშვი-მეთქი.

– თქვენთვის საყვარელი როლები, რომლებიც დიდმა მსახიობმა განასახიერა?

– გვიყვებოდა შალვი ზვიგაძის თავგადასავალზე. “გვადი ბიგვა” მიყვარს ძალიან, ასევე, “ჭინჭრაქა”.

– ვისთან მეგობრობდა ბატონი ერთისი?

– რეზო ტაბიძე იყო ასეთი პიროვნება, სულ მასთან იყო. გიორგი კახაბრიშვილი, ზურაბი ყიფშიძე და სხვები, ბევრი ადამიანი ტრიალებდა მის ორგვლე.

– ბევრს საუბრობდნენ ერთისი სიყვარულზე...

– დიდი სიყვარული ჰქონდა, ძალიან უყვარდა სკოლიდან ლენა ყიფშიძე და მისი ერთგული დარჩა. ბაბუაჩემი და მამაჩემი სულ ეუხებოდნენ, ცოლი მოიყვანა. მე იმხელა სიყვარული მაქვს, არ გამიმართლა, მაგრამ ვერ ვუღალატებო. ეს ყველას არ შეუძლია.

– ცალკე თქვამა ერთი მანჯგალაძე, როგორც კომენტატორი.

– როგორი პატარა იყო, სტუდენტი, მოსკოვში რომ გაიპარა, ფეხბურთის რეპორტაჟი წაეყვანა. ცნობილი ფაქტია, ჩვენების მიერ გატანილი ერთი ბურთი დამალა, რადგან პირველი ტაიმის რეპორტაჟი ეთერში არ გასულა. მერე ტაიმში ანგარიში 1:1 რომ გახდა, ბოლოს თქვა, ერთი ბურთი შემონახული მქონდაო. კოტე მახარაძე შემდეგ იხსენებდა, მხოლოდ ერთისი შეეძლო, ასეთი რამ გაეხდებოდა. 1981 წელს, როცა თბილის-

ის “დინამო” ვერობის თასი მოიგო, მთელი ოჯახი წავედით აეროპორტში დასახვედრად. მერე დაიწყო კრიზისი, ჩაიქნა ხელი, 10 წელი არაფერი ეშველება ჩვენს “დინამოს”.

1982 წელს გარდაიცვალა ბიძაჩემი. მამინ ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა ფეხბურთში. კედელზე ცხრილი ჰქონდა გაკრული...


– თქვენ როგორ ფიქრობთ, ქარულ კინოს და თეატრს ყოვლგან კიდევ ერთისი და მისი თაობის ალბათ ებული მსახიობების მსგავსი არტისტები?

– როგორ არა, წარმოუდგენელია საქართველოში ასეთები არ იყვნენ. ასპარეზი უნდა მისცენ ახალგაზრდებს. რუსულ არხებზე ბევრი ფილმი გადის, სერიאלებს სერიალებზე იღებენ. ისეთი მშვენიერ დონეს აჩვენებენ. ჩვენებმა რა დააშავეს? მათ გასაქანი არა აქვთ. რეზო ჩხეიძის ან თენგიზ აბულაძის სკოლამ როგორ შეიძლება, ფილმი არ გადაიღოს. ჯინა ლოლობრიჯიდა ხელზე კოცნიდა რეზო ჩხეიძეს, სერგო ზაქარაძე ეხე გეტქს ხელი ჩამორთმეული.

– უდიდესი მსახიობები იყვნენ და ურთიერთობებიც არაჩვეულებრივი ჰქონდათ. საოცარი იყო აპოლიტო ხეიჩია! ერთისი გარდაცვალება რომ გაიგო, მან მხოლოდ დედაჩემთან ისურვა ტელეფონით საუბარი. დავილუპეთ ბელაო, უთქვამს.

– სახლი, სადაც თქვენ ცხოვრობთ თბილისში, ერთი მანჯგალაძის ეკუთვნოდა. გიფიქრიათ, რომ იქ მისი სახლ-მუხეუმი გაიხსნას?

– რა თქმა უნდა, ამის დიდი სურვილი მაქვს. ახალი ბინის შექმნისთანავე ამას გაუკეთებ, მის სახელზე რაღაც ხომ უნდა დარჩეს.



ზურაბ შიშკინია: "ანადგარებს ბიზნესს, მაგარიტი იღობს ბიზნესს"

6060 ნაწილაკში

ავთანდილ შალვას ძე გოგიავა – ამ სახელითა და გვარით ერთი კარგი ადამიანი სამტრედიის ქუჩებში 68 წელია, დააბიჯებს. ეს ის თაობაა, რომელსაც ვინაობის კითხვის დროს სურვილი უჩნდება, საკუთარი სახელისა და გვარის შუაში მამის სახელი აუცილებლად შემოგაგებოს. ეამყება ბატონ ავთანდილს მამისა და დედის ხსენება. შალვა გოგიავა სატვირთო მანქანით სამტრედიის ცვაკეშირის სისტემის ორგანიზაციებს რამდენიმე ათეული წელი ემსახურებოდა. როგორც შეიძლება ამბობს, პროფესიით მძღოლმა მამამ კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა. დედის, თამარ მურადაშვილი-გოგიავას ნათელი ხსოვნა კი სამტ-

რედიის სამშობიარო სახლში დიდ ხანს იყო შემონახული.

ორი დის ერთადერთ ძმას ოჯახში იმ დროისთვის მოდური სპეციალობა მისცა, კბილის ტექნიკოსობა ავტორიტეტული იყო და შემოსავლიანიც. ორი წელი მაშინდელი რეინიგის პოლიკლინიკის სტომატოლოგიურ განყოფილებაში ბატონი ავთანდილი დასავლეთ საქართველოს სარეინიგო გზაზე მომუშავე ადამიანების ლამაზ ღიმილზე ზრუნავდა. თუმცა ეს პროფესია ბოლომდე საინტერესო არ აღმოჩნდა მისთვის. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბოლოს ენერჯეტკამ გაიტაცა და სწორედ ეს დარგი დარჩა მისთვის მთავარი საქმე.

ავთანდილ გოგიავა 1970 წლიდან დღემდე შპს "საქართველოს რეინიგის"

დასავლეთის ელმომარაგების სამმართველოში უფროს ენერჯიდისპექტრად მუშაობს. მანამდე დიდი გზა განვლო. ყოფილი კბილის ტექნიკოსი სულ პირველად რიონის საკონტაქტო ქსელის საავარიო ბრიგადაში მონტიორად დაკავდა. როგორც ბატონი ავთანდილი იხსენებს, თეთრი ხალათიდან მუშის პირობაში გადასვლა იმდენად არ გასჭირვებია, რამდენადც ენერჯეტკამ მისი გატაცება იყო: "როცა იცი, რომ შენი ხელით შესრულებული სამუშაო მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას განაპირობებს, ამჟამად დიდი კმაყოფილება არ არსებობს. სწორედ ამას განვიცდიდი მაშინ. წინა საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს რეინიგს მთავარი სატრანსპორტო არტერი გახლდათ საქართველოს და არა მარტო საქართველოს მასშტაბით – სამტრედიის კი ერთ-ერთი სამომრათო მთავარი კვანძი".

რიონის შემდეგ სოხუმის უბანი იყო. 1978 წელს ავთანდილ გოგიავა სამტრედიის რეინიგის განყოფილებაში სოხუმის უბნის ელექტროდისპექტრად დაინიშნა. იმუშავა იმ ავბედით დრომდე, სოხუმის დაცემა რომ ჰქვია. ბატონი ავთანდილი იმ დღეს ასე იგონებს: "1993 წლის 27 სექტემბერი იდგა. ქრისტიანული სამყარო ჯვართამაღლებას ზეიმობდა, სოხუმში ჩემს თანამშრომლებთან ერთად ვიმყოფებოდი და დაზიანებული უბნების ადდგენაში ვღებულობდი მონაწილეობას. ეს დღე არის ყველაზე მძიმე საქართველოსთვის და იმ რეინიგ-ხელებისთვის, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაგვეტოვეთ სოხუმი. მას შემდეგ სოხუმი აღარ მინახავს".

სოხუმის დაცემის შემდეგ ავთანდილ გოგიავა დასავლეთის საქართველოს რეინიგის ელმომარაგების სამმართველოში ელექტროდისპექტრად მოეწყო. 65 წელია, რაც დამსახურებული რეინიგხელის წოდებას ატარებს. დამსახურებასთან ერთად იზრდებოდა უფლებამოსილებებიც. 2009 წლიდან უფროს ელექტროდისპექტრად დაინიშნა და

დღემდე ენერჯიდისპექტრად აპარატს ხელმძღვანელობს.

ბატონ ავთანდილს კოლექტივი დადებითად ახასიათებს.

შპს "საქართველოს რეინიგის" დასავლეთის ელმომარაგების სამმართველოს დირექტორი ზურაბ გოგიავა: "საპატიო რეინიგელია, ჩვენი კოლექტივის წარდგინების შედეგად წოდება დამსახურებულად მიანიჭა "საქართველოს რეინიგის" ხელმძღვანელობამ. ბატონი ავთანდილი საუკეთესო სპეციალისტია, ჩვენს სამმართველოში მას უკავია საკმაოდ საპასუხისმგებლო პირობა, დაახლოებით 6 წლის წინ წარადგინე საპატიო რეინიგხელის წოდებაზე. მან გაგვიამართლა. სადისპექტრო საქმიანობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან მათ თვალის ერთი წუთით მოხუჭვის საშუალება არ აქვთ. მინდა, რომ ავთანდილ გოგიავასთან რეინიგხელები უმრავლეს საქართველოს რეინიგხას. ახალგაზრდებს მოეუწოდებ, მაგალითი

აიღონ მისგან".

კარგ ადამიანობასთან, პროფესიონალიზმთან ერთად ავთანდილ გოგიავას თავის დროზე საუკეთესო შვილის, ამჟამად კი საუკეთესო მეუღლის, მამისა და ბაბუის იმიჯი აქვს. ღირსეული ოჯახის ღირსეულ თავკაცად ახასიათებენ მას მეზობლებიც.

ბატონმა ავთანდილმა 46 წლის წინ თავისი ბედი დარეჯან ჩერტკოვას დაუკავშირა. გაუჩნდათ ორი შვილი, ქალ-ვაჟი, რომლებიც ამჟამად დაოჯახებული არიან და ბებია-ბაბუას 4 შვილი-შვილს უზრდიან.

ამბობს, რომ ძალიან ბედნიერია და მდიდარია მოსიყვარულე, საუკეთესო დასახლისი მეუღლით, მზრუნველი შვილებით, ჯანმრთელი და ლამაზი შვილი-შვილებით. უნდა, რომ მათი სიხარულით კიდევ დიდხანს იხაროს. აქვს ერთადერთი დარდი – იმ სოხუმში, საიდანაც 1993 წლის 27 სექტემბერს ქართველები წამოვიდნენ, კვლავ შეძლონ დაბრუნება.



მეგობრობით პართი კლიმონი

მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების საუკუნოვანი იუბილე ვიზეიმეთ, თუმცა, სადღესასწაულო ღონისძიებები ვრძელდება და ჩვენც ვაგრძელებთ იმ ნაკლებად ცნობილ ან სულაც უცნობ ფაქტებზე ოხრობას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან.

დამოუკიდებლობის აქტი ამცნო მსოფლიოს ქართველმა ერმა თავის უფალი, დემოკრატიული საქართველოს დაბადება.

აქტს ხელს ჩვენი ერის ღირსეული შვილები აწერდნენ, რომელთა შორისაც სამი ებრაელი იყო, ესენი გახლდნენ: იოსებ ელიეულაშვილი, მოშე დავარაშვილი და ილია გოლდმანი.

ბატონი ილია გოლდმანი 1921 წლის ტრაგიკული 25 თებერვლის შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია, ემიგრაციაში თან გაჰყვა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას. იგი, როგორც ერთეული შვილი დამოუკიდებელი საქართველოსი, აქტიურად იღვწოდა საზღვარგარეთ, თავისუფლებადაკარგული საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

სიცოცხლის ბოლო წლები ბატონმა ილიამ ამერიკის შეერთებული შტატებში გაატარა. აქედან იგი სისტემატურად კონტაქტობდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში განთენილ ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. ერთი იყო მათი საუბრის თემა – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1963 წელს ამერიკაში გარდაიცვალა ილია გოლდმანი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ილია გოლდმანისა და იოსებ ელიეულაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვერცელი წერილი აქვს პროფესორ გურამ შარაძეს. "ქართველ ებრაელთა წვლილი". – ასე ჰქვია წერილს.

მასალებს ამ ორ ღირებულ ქართველ ებრაელზე პროფესორმა შარაძემ, ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა შესახებ მასალების მოძიებისას მიაკვლია.

1918 წლის 26 მაისს, როგორც სხვა, ჩვენი ერისათვის მნიშვნელოვან მომენტში" არ მიუუტოვებიათ ჩვენს მეგობარ ებრაელ ძმებს. პოდა, არც ჩვენ ვივიწყებთ მათ, მათ კეთილ საქმეებს.

ლევან ბაგრაძე



საქართველოს გაუმარჯოს! შალომ ისრაელ!

ბეგრჯერ დაწერილია, კვლავაც დაიწერება ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობისა და კეთილშობილობის შესახებ.

დღეს იმ ჩვენს თანამემამულე ებრაელ კაცს გავიხსენებთ, თვალისჩინივით რომ უფროსიხლებოდა ორი ერის მეგობრობას და თავად იყო კაცობის, მეგობრობის ეტალონი არა მარტო ებრაელების, ქართველებისთვისაც.

1904 წელს სოფელ კულაშში დაიბადა ისაკ აბრამიძის ძე მიხეილაშვილი. შრომითი საქმიანობა, საყოველთაო სიღვრიზის გამო, 13 წლის ასაკიდან დაიწყო.

1930-იან წლებში გახლდათ საქართველოს ღირსეულ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის კულაშის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის კულაშელ ებრაელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

საქვეპრობის სამტრედიის განყოფილებაში და ცვაკეშირის სამტრედიის სარაიონთაშორისო ბაზის დირექტორის მოადგილე მუშაობისას, სრულად წარმოჩნდა მისი პროფესიული და ადამიანური საუკეთესო თვისებები.

1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ისაკი კულაშის საქსოვი ფაბრიკის დირექტორის მოადგილე იყო და უდიდესი წვლილი შეჰქონდა კავშირის მასშტაბით ცნობილი ამ უდიდესი ფაბრიკის სიმძლავრეთა გაფართოებისა და აქ დასაქმებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ბატონი ისაკი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც გახლდათ ცნობილი, 1960 წლიდან კულაშის სადაბო საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი იყო. დაბელები ხშირად ირჩევდნენ მას რაიონულ საბჭოში მათი ინტერესების დამცველად.

როგორც ვთქვით, ისაკ მიხეილაშვილსა და მის შვილებს, ამირანს, ბუჭუნას, ეთერს, ფანიას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან, კიდევ უფრო განსაკუთრებული კულაშელ მიქელაშვილებთან.

დღესაც ახსოვთ, საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს ბატონი ისაკისა და მისი კაცობიერება, არაჩვეულებრივი მეუღლის, ქალბატონ მარია (მარო) მიხეილაშვილის თბილი მასპინძლობა.

დღეს, როცა გარემოებათა გამო, კულაშში ებრაელების გარეშე დარჩენილი და მათი ოჯახებიდან ჩვეული ჟრამული არ ისმის, მესხეთეაში ტიპიურებს კულაშელ ებრაელებთან ერთად გატარებული ბავშვობის, მოსწავლეობის განუმეორებელი წლები.

ებრაელთა თბილი, კეთილი დამოკიდებულება ქართველობისადმი და ქართველებისა ებრაელებისადმი არის და იქნება მაგალითი სხვა ერებისათვის, განსხვავებული სარწმუნოების მქონე ხალხისათვის. ესოდენ პოპულარული ტერმინით რომ ვთქვათ, ტოლერანტობის ბრწყინვალე მაგალითია ყოველივე.

ახსოვთ სამტრედიის, კულაშში ისაკ და მარია მიხეილაშვილები, მათი დიდი ოჯახის სითბო და არ ივიწყებენ მათ.

ლევან ბაგრაძე

ხსოვნა

დეკანოზი იაკობი (ლევკეიშვილი)

საოცრად უბრალო იყო, თავმდაბალი, სუფთა სინდისით. მორიდებულ ღიმილს შემოგაგებებდა ყოველი შეხვედრისას, ადვილად პოულობდა საერთო ენას მოსაუბრესთან.

სრულიად ახალგაზრდა ხუნჯულაურის ღვთისმშობლის ტაძრის სტიქაროსანი იყო. მერე ბათუმის სასულიერო სემინარია დაამთავრა და იანეთის წმინდა გიორგის სახელობის ახლად გახსნილ ტაძარში მსახურობდა მოძღვრად. დროის მცირე მონაკვეთში მრავალრიცხოვანი მრევლის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დღესაც სევდიანი და მწუხარებით იგონებენ საყვარელ მოძღვარს ისინი.


...

2010 წლის 30 ივლისს დეკანოზი იაკობი (ლევკეიშვილი) სტიქაროსნებთან ვახტანგთან და რაინდთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა. დაკრძალულია იანეთის ტაძრის ეზოში.

30 ივლისის მოახლოებასთან დაკავშირებით გავიხსენეთ საშხეოდან ნაადრევად წასული დეკანოზი.

ნათელში იყოს!

ლევან ბაგრაძე



იუბილე

იდლეგრძელეთ!

გასული საუკუნის შუახანებში აღმავლობის კუთხით განსაკუთრებული გახლდათ სამტრედიისა და სამტრედიელებისთვის.

1970 წელს 100 წელი შესრულდა სამტრედიის (ქალაქის) დაარსებიდან. რაიონის იმპროვიზირებული თაკაცებს აღრიდნენ უზრუნველყოფის დირექციის ადმინისტრაციის ხელისუფლებამ. პეტრე გრუნინსკის ტექსტზე დაფუძნებული თორაქის შესანიშნავი სიმღერა დაუწერია სამტრედიელს, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდნენ თამარ ისერაგიველი, ცისანა ნიკურაძე და ბადრი რობაქიძე.

ქალბატონი ბადრი იუბილარია, 80 წლისა გახდა იგი და გვესურს, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მასზე.

შეგნებულად არაფერს ვამბობთ ამ სამი ქალბატონის მიერ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილ წვლილზე, რამეთუ ამის შესახებ კარგად იციან სამტრედიელებმა, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სწორედ ქალბატონი ბადრი იყო სოლისტი სამტრედიის პიანეტარული სიმღერისა, არაერთხელ რომ აღაფრთოვანა საზოგადოება შესანიშნავი ტემპით.

უყვარს ქალბატონ ბადრის მშობლიური სამტრედია, ქალაქი, სადაც სიცოცხლის ულამაზესი წლები გაატარა, სადაც უამრავი ამხანაგი, მეგობარი, კეთილსმყოფელი, მტერი და მოყვარე ჰყავს.

სამტრედიელებიც სიყვარულითვე პასუხობენ ქალაქის პიანეტარული სიმღერის ერთ-ერთ უბადლო შემსრულებელს.

აგროსამრეწველო გაერთიანება და რედაქცია აღმინისტრაციული სახლის მეორე სართულზე ერთ ღერეფანში იყო განთავსებული, ქალბატონი ბადრი აგროსამრეწველო გაერთიანებაში მუშაობდა და რედაქციის თანამშრომლებთან საოცრად თბილი, კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა. როცა დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მასთან ყოველ შეხვედრას სიხარული მოჰქონდა.

რამდენიმე წლის წინ დედაქალაქში შევიდნენ გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა ამბობს, რომ ფიქრით ისევ აქ ჩვენთანაა სამტრედიაში და თბილად იფიქრებს იმ პერიოდულ წლებს, ოქროს ასობით რომ ჩაიწერა ლამის 150 წლის სამტრედიის ისტორიაში.

სოლიდური ასაკია 80 წელი, ღირს დაფიქრდეთ, აწონ-დაწონო, რა გააკეთე, როგორ გააკეთე... არ ვაჭარბებთ, სამტრედიის მეისტორიო ვერ აუვლის გვერდს ქალბატონი ბადრი რობაქიძის პათოსსა და ძალისხმევას, შემართებას, თავდადებას, მთელი ცხოვრება რომ ახასიათებდა მის პიროვნებას.

ქალბატონი ბადრი, თქვენ და ჩვენი საყვარელი ქალაქი ივლისში დაიბადეთ, 148 წელი სრულდება ქალაქის დაარსებიდან, 80 წლისა გახდით თქვენ.

უდადევი პატივისცემითა და სიყვარულით გლოცავთ სახელოვან იუბილეს ღირსეულ დედას, ბებბას, სამტრედიასა და სამტრედიელებზე თავდავიწყებით შეყვარებულ ქალბატონს.

თქვენი ცხოვრების შუაღელეხილი ფოფილიყოს ლამაზად განვლილი რვა ათეული წელი.

ლევან ბაგჩაძე

ქალბატონ ბადრი რობაქიძის!

გულითადად გლოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს ამჟამად ქალბატონს, დედას, ბებბას, მშობლიურ ქალაქზე უსახლდროდ შეყვარებულს და უბადლო მომღერალს.

ცხოვრების სირთულეებით გამოდიდობს ჯანმრთელობას, მხნეობას და წელთა სიმრავლეს გისურვებთ.

პატივისცემით ნათელა ბაგჩაძე



იმდერა და იხტუნავა ამერიულ მანერაზე, ქართველები გადარია პლანტმა ბლექსი არენაზე.

სამტრედიელი თავისუფალი სტილით მოქილავებში ბახმაროდან დაბრუნდნენ

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, ვეფხია სტურუა თავის 25 მოსწავლესთან ერთად ამ დღეებში დაბრუნდა კურორტ ბახმაროდან. ისინი იქ სამწვრთნელო შეკრებაზე იმყოფებოდნენ, ეს ტრადიცია ახალგაზრდა მწვრთნელმა, 6 წელია, რაც დაამკვიდრა. ბახმაროდან დაბრუნებულ მწვრთნელს კომენტარი ვთხოვეთ.

ვეფხია სტურუა: "ყოველი დღე იწყებოდა დილის შვიდ საათზე, სპორტსმენები იწყებდნენ ფიზიკური მოთვლელი, შემდეგ კი სპორტსმენები დისტანციაზე გარბოდნენ, გარკვეულ დღეებში 11 კილომეტრიან დისტანციასაც ფარავდნენ, ხოლო სირბილის შემდეგ იღუბებს აქუმ-ავებდნენ. დღის განმავლობაში გარკვეული დრო ეთმობოდა დასვენებას და თეორიულ მომზადებას. იქ იმდენად მეგობრული და ახლო ურთიერთობები ჩამოყალიბდა და ისეთი გარემო შეიქმნა, ბავშვების შეკითხვები ხშირად სპორტის თემატიკასაც სცდებოდა. მოგვხსენებთ, ნიჭიერი თაობა მოდის, რომელსაც ფეხსაცმელი აინტერესებს, ვსაუბრობდით ფეხსაცმელზე, მათ შორის, თქვენ წარმოიდგინეთ მათემატიკაზე, ასტრონომიაზე, ფიზიკაზე, გეოგრაფიასა და ისტორიაზე. საღამოს 5 საათზე ეწყობოდა თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ვაწყობდით მხიარულ სტარტებს. საღამოობით ვეკრებოდით კოცონთან, ეს იქაური ტრადიციაა. მოგვხსენებთ, სპორტსმენს კარგი კვება ესაჭიროება, მაგალითად მოვასხენებ მშობლებს, რომლებიც შეიღებენ შეკრების დასაფინანსებლად უკან არასოდეს იხევენ, განსაკუთრებულ მაგალითს კი ერთ-ერთ მშობელს, დავით ბოლქვაძეს მოვასხენებ, რომელიც 2 კვირის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო და ფეხსაცმელი პრობლემის მოგვარებაში გვეხმარებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი მოსწავლე დროის ამ პერიოდში აუად არ გამხდარა. მათი ასაკი 10-დან 17 წლამდეა. მათ შორის არიან საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები.

ნათელა ბაგჩაძე



კვლავ წარმატება

კინგბოქსინგში საერთაშორისო ტურნირის "შავი ზღვის თასის ჩემპიონატი" ბათუმში 8-10 ივლისს უმასპინძლა, მასში ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მათ შორის იყვნენ სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) წარმომადგენლები, მწვრთნელ-მასწავლებელი კობა კვაჩიანიშვილი და მისი აღსაზრდელები.

სამტრედიელი კინგბოქსინგელები გამარჯვებულები დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში.

ზვიად კვანჭიანიძე, ლუკა კვაჩიანიშვილი და ლუკა კვაჩიანიშვილი პირველი ადგილი, ხოლო გიორგი კვანჭიანიძე და ავთანდილ კვაჩიანიშვილი მეორე ადგილები დასაკუთრეს და კომპლექსური ფიურის მიერ შესაბამისი პრიზებიც დაიმსახურეს.



ბიჭებმა თავი არ დაზოგეს, კარგად იბრძოლეს და შედეგაც შესაბამისიაო. - განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მწვრთნელ-მასწავლებელმა კობა კვაჩიანიშვილმა. დასძინა, რომ ბიჭები საერთაშორისო ტურნირისათვის ემზადებიან, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარდება. წარმატებებს ვუსურვებთ მათ მომავალ ასპარეზობებში.

ლევან ბაგჩაძე

ქალბატონ ირმა შანიძის!

შანიძეთა შესანიშნავი წარმომადგენელს, №1 სახელოვნო სკოლის დირექტორს, ირმა შანიძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, წარმატებები და უღვივი სიხარული ყოფილიყოს მისი ცხოვრების მეგზური!

სამტრედიის სკოლის თანამშრომლები



კარატისტებმა კიდევ ერთხელ ააფრიალეს სამტრედიის დროშა მსოფლიო ჩემპიონატზე

2018 წლის 4-დან 7 ივლისის ჩათვლით ფაზაზეთის ქალაქ ყარაგანდამში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კიუგუნინგა კარატეში 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. მასში მონაწილეობდა 16 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი. მათ შორის სამტრედიის მუნციპალიტეტის სპორტსკოლის კარატის ჯგუფის წევრები: მანანა მუქერია, რომელმაც მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა და მარიამ გოგიტაური, რომელიც მე-4 საპრიზო ადგილზე გავიდა.



მარიამ გოგიტაურმა ნახევარფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლა გამართა. აპონიის წარმომადგენელთან და ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. ტატიანის მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებით უპირატესობა მიანიჭეს იაპონელს. მარიამმა კი დაიკავა მე-4 ადგილი.

ორთაბრძოლის ტექნიკურად წარმატებით ჩატარებისათვის, მას ჩემპიონატის ორგანიზატორებისა და მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებით, გადაეცა პრიზი "სწრაფვა გამარჯვებისაკენ". ოქროს მედალი და დიპლომი.

სენსი მხიელი ქანთარია, როგორც წარმატებულ მწვრთნელ-მასწავლებელს გადაეცა ოქროს მედალი და დიპლომი.

მიმდინარე წლის 6-7 ოქტომბერს შედგითის ქალაქ გეტბორგში ტარდება ევროპის ჩემპიონატი კიუგუნინგა კარატეში. როგორც წინა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულები, დაფინანსების შემთხვევაში მანანა მუქერია და მარიამ გოგიტაური მიიღებენ მონაწილეობას.

სამტრედიის მაცნე



ბრიკოლ კვაჩიანიშვილი!

დაბადების დღეს გლოცავთ, ჩვენო გრიგოლ. გვეამაყებთ და გვიხარია შენი არსებობა. მხოლოდ საუკეთესოს გისურვებთ, წლებს ბედნიერება, სიყვარულით და წარმატებებით სავსე დღეები მოუტანოს შენთვის. ოცნებები რეალობად გქცეოდეს. გაისხაროს შენმა ოჯახმა შენი კარგად ყოფნით, სწავლით და საქმით. მრავალს დაესწარი. ღმერთი იყოს შენი მფრაველი!

სამტრედიის მაცნე

რედაქციის მისამართი: სამტრედია, რისპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან გოგიანი

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე

გამომშვეები რედაქტორი თამარ ბაგჩაძე

პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაგჩაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე